წელიწადი 1912 მეორე

ორშაბათი, 5 მარტი № 61

თემი

ორშაბათი, 5 მარტი № 61

ფასი გაზეთისა წლიურად—2 მ. 50 კ. ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ. 3 თვით—1 მან. 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუგულს—20 კაპ. სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები. რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა 2 საათიდან 3 საათამდის რედაქციაში Дворцовая ул. д. Д З. Сараджева № 6. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება აქვე კვირა-უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის

გაზეთი

წელიწადი მეორე. **თემი** წელიწადი მეორე.

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კაპ. ნახევარი წლით—1 მ. 25 კაპ. ერთი თვით—25 კაპ ✦ რედაქციის და კანტორის ადრესი: Дворцовая 6, редакція газеты „ТЕМИ“. რედაქტორ-გამომცემელი **გრ. დიასამიძე.**

Adresse télégraphique SANITAS

Кавказское Товарищество торговли аптекарскими товарами въ Тифлисѣ

ამხანაგობის საკუთრად ნაკეთები:

საბავშვო ფხვნილი.
ბრინჯის ფხვნილი.
ბორო-ვაზელინი.
კბილი ფხვნილი.

კანის დამარბილებელი
კოსმოლინი
ოთახის ჰაერის გამწმენდი
„ფიჭვის წყალი“.

Адресъ телеграммъ САНИТАСЪ Тифлисъ

სასახლის ქუჩა **ძმ. ალშვანგები** **ტელეფ. № 477.**

მიღებულია: მამაკაცთათვის

შლიაპები, ჯოხები და ნამდვილი

ამერიკული ფერადიანი

ფეხსაცმელი.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყოფ 9-ნახ.—10 საათ.
ა. დიასამიძე—ყოვ. დღე კვირის გარდა 11-ნახ.—12-ნახ.-მდე, სიფ., კან. და ვენ.
ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე კვირის გარდა 11 ნახ.—12-დე ყელ. ყურ. ცხვ. სნეულ.
ვ. ს. სტანიშევსკი—ყოვ. დღე კვირის გარდა, შინაგ. ავად. 11-ნახ.—12 ს.
ნ. მ. მელიქიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდ 1—2 ს. ქირურგ. და ქალ. სნ.
შ. ა. მიქელაძე—ყოვ. დღე კვირის გარდა, 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ.

ქირურგიული სნეულ. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევა; აგრეთვე უჯაგ. ატრა და ძიძების გასინჯვა.

ფასი რჩევისათვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით.

წამლობა „606“-ითა.

პირველხარისხოვანი სასტუმრო

ვესტალი

ნომრები 1 მ.—7 მანეთამდე, ელექტრონით განათება, ორთქლით გათბობა, ნომრებს უფასოდ ათბობენ, ასასვლელი მანქანა „ლიფტი“, ვანები, „დუში“, მისვლისთანავე მგზავრებს შეუძლიანთ ერთხელ ისარგებლონ ვანით უფასოდ.

პირველხარისხოვანი რესტორანი

ევროპიული და აზიური საჭმელები. ცალკე კაბინეთები, პიანინო, პოლიფონი, ქორწილებისა, სადილებისა და პიკნიკებისათვის ცალკე დარბაზი. ბილიარდები და კეგელბანი. სასტუმროში არის ცალკე სამკითხველო და სასტუმრო დარბაზი.

სადილები არჩევით, **ქარტით.**

2—ფერისა	60 კაპ.
3—ფერისა	75 კაპ.
4—ფერისა	1 მანეთი.

პატრონი **ნოე სიხარულიძე.**

იბეჭდება და მალე გამოვა **აკაკის** თხზულების პირველი წიგნი, რომელშიაც მოთავსებული იქნება ახალი ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავი და აგრეთვე ძველიც, ზოგიერთის შენიშვნებით და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება ათ შაურად. ● ხელის მოწერა შეიძლება თბილისს: წ. კ. გ. ს. და „ცოდნა“-ს წიგ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის“ რედაქციაში, მთავრიშვილის წიგ. მაღაზ. და კანტორა „იმერეთში“; ბათომს:—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს:— ი. კორძაიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში.

☛ მიიღება ხელის მოწერა ☚

ორიგინალურ თხზულებაზე

როსკიპი

რომანი ორ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან **დ. კასრაძისა.**

წიგნი მეტად საინტერესოა და იქნება დაახლოვებით 360 გვერდამდე.

ფასი 60 კაპ.

წიგნები ხელის-მომწერლებს უსათუოდ დაურიგდებათ მარტის დამლევს

თბილისის ხელის-მომწერთა მისამართი ადგილები: გ. ბეჟანიშვილთან—კრასნაგორსკაია ქუჩ. № 19; **ილიკოსთან**—თამამშევის ქარვასლაში, სამანუფაქტურო მაღაზია აბაშიძისა, №№ 57—58; **არტ. გიორგაძესთან,** მიხაილოვის პროსპ. № 3; **ბართლომე კილაძესთან**—სტამბა „ბეჭდვითი საქმე“ ველიამინოვის ქ., № 6; **დ. ნაკაიძესთან**—სტამბა „სორაპანი“, მადათოვის კუნძულზე.

პროვინციის ხელის-მომწერთა მისამართი: Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“, Э. Д. Горделадзе. ფულიც უსათუოდ ამავე ადრესით უნდა გამოიგზავნოს.

ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: 30 კაპ. ამ თავით, 30 კაპ. წიგნის ჩაბარების დროს.

გამომცემელი **დ. ნაკაიძე.**

ქართული თეატრი

კვირას, 11 მარტს

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ქართულ თეატრის **კაპელდინერების** საბენეფისოთ

I

რუსთაველი

დრამა 4 მოქმ. კ. მესხისა

II

ვ. აბაშიძის მონაწილეობით

არც აქეთ არც იქით

ვოდევილი 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის შვეიცართან.

ახალი კლუბი

სამშაბათს, 13 თებერვალს, ორკესტრის ლოტბარის

ს. ი. პრესმანის

ბენეფისი

მესამე სიმფონიური კრება

მომღერალ **ივ. სარაჯიშვილის** მონაწილეობით.

დასაწყისი **საღამოს 9 საათზე.**

სავაჭრო სახლი

ი. გოკიელოვის შვილები

ქუთაისში

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიისა ამით ვაცნობებთ პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ მიღებულია და იყიდება ცნობილ ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი **ხ. ხრისტოდულიდის,** რომელსაც წინათ ეძახდენ წერეთლისა, როგორც უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხ. ქუჩა, აგრეთვე თავის აგენტებთან—სოხუმში—რაფიელ გოკიელოვის თუთუნის საწყობში; თბილისში—სტეფანე ა. დავითიანცთან, ქსენიევის ქ. № 6, გოკიელოვის სახლი; ბათუმში—მაჭარაძე და ჭეიშვილთან, ორდჟენსკის და დუნდუკვარსაკოვის ქუჩის კუთხე; ახალ-სენაკში—ბართლომე ჭაჭიასთან. ფარცხანაყანებისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთვისთვის, საყულისთვის, შვამთვისთვის და წყალტუბოსთვის უმთავრეს აგენტად გაყიდვისთვის დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე,** რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანებში, იარმუკაში.

სიყალბის და შეცდომის ასაცილებლად ყოველ კოლოფზე დაკრული გვაქვს ჩვენი ფირმის ბეჭედი და თეთრი იარლიკი ქართული წარწერით, ამიტომაც ყიდვის დროს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება იარლიკს და ბეჭედს ჩვენი ფირმისას. ხშირათ მეაბრეშუმეები ეტანებიან იაფ ფასიან აბრეშუმის თესლებს ან გვიან უ დულობენ, რომ გამოსული თესლები იაფათ იყიდონ და ამგვარი უმნიშვნელო ეკონომიით შემდეგში ჰკარგავენ დიდ სარგებლობას. ვურჩევთ პატივცემულ აბრეშუმეებს ნუ დაიშურებენ რამოდენიმე აბაზს კარგი და დაუზიანებელი თესლის შესაძენათ და შეიძინონ ადრევე საუკეთესო ხარისხის **ხ. ხრისტოდულიდის** ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლი.

სტამბა „ბეჭდვითი საქმე“ კილაძისა

1912 წლის 1-ლ მარტიდგან 15 აპრილამდე

მართავს ხელის მოწერას ცნობილ მსოფლიო პოეტის

ჰენრიხ ჰეინეს მე-5-თე და მე 6-ე

წიგნის **რჩეულ** ლექსებზე; თარგმანი **ჭ. ო—ლიასი;**

წიგნს დაერთვის წინასიტყვაობა, **ჰეინეს** ბიოგრაფია, სურათი და კარლ მარქსის მოგონება ჰეინეზე, **წიგნი** დაახლოვებით გამოვა 200 გვერდამდე მოზრდილი ზომის, დაიბეჭდება კარგს ქაღალდზე; ყოველივე ღონეა მიღებული, რომ გამოიცეს შნოიანად და ეღირება **60** კაპ. ხელის მომწერლებისათვის, ხოლო არა ხელის მომწერლებისათვის **დაბეჭდვის** შემდეგ წიგნი ეღირება ერთი მანეთი.

წიგნი ხელის მომწერლებს დაურიგდება არა უგვიანეს მაისის შუა რიცხვამდე.

ვინც ისურვებს ეს წიგნი მიიღოს მშვენიერს ყდაში. იმან ეხლავე უნდა შემოიტანოს ყდის ფასად 40 კაპ. ვინც ისურვებს კვიტანციების გავრცელებას **და დახმარებას,** ვთხოვთ მოგვმართონ შემდეგის ადრესით:

თბილისი, ველიამინოვის ქუჩა, № 6 **ბართ. კილაძეს.**

ქართული თეატრი

შაბათს 10 მარტს

ქართულ თეატრში გაიმართება

ლიტერატურული საღამო

ივანე გომართელის მონაწილეობით

I.

მ. წულუკიძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგ თემაზე: „სკულპტურა და მხატვრობა“

II.

ი. გომართელი წაიკითხავს მოთხრობას.
ახოსპირელი—ლექსს.
გ. დიასამიძე—მოთხრობას.
გრიშაშვილი—ლექსს.
ქ. ჯაფარიძე—ლექსს პროზათ.

III.

ა. წერეთელი წაიკითხავს რეფერატს. **„ახალგაზდა პოეტი ნ. ჩხიკვაძე.“**
ქურიშვილი, აბაშელი, ბებიაშვილი და **ჩხიკვაძე** ლექსებს.
ირეთელი წაიკითხავს ამ საღამოსთვის საგანგებოთ დაწერილ სატირას
ანტრაქტებში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი ბ-ნ პრესმანის ლოტბარობით. ✦✦✦ დასაწყისი საღ. 8 ნახ. საათზე.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძებგილოვები.

პუშკინის ქ; საკუთარი ს. № 9.

ტელეფონი № 712

ყოველ-დღე მოგვდის

ახალ-ახალი წითელი სიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კომარი, სალიანის თევზეულობა შამაია და ყოველ გვარი გამოსული თევზი

ექიმი

გ. ფ. ნათიშვილი

სიფილისი, კანისა და ვენერიული ავათმყოფობა. დილით 11 ნახ. ს.—1 ს. საღ. 7—8 ს. ადრესი: მონუმენტის შესახვევი № 5, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. **ტელეფონი** 486

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

საღამოს 6—7 საათ. კვირა დღის გარდა. ოლგას ქუჩა, № 29.

თბილისი, 5 მარტი.

ჩვენი საზოგადოება ამ ჟამად სულ-განაბული ყურს უგდებს იმ კალმების წრიპინს, რომელიც ატეხილია გაზ. „ზაკავკაზიესა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩის“ ფურცლებზე.

ბრძოლა დაუნდობელია და ორივე მხარე არაფერსზოგავს როგორმე სახელი გაუტეხოს ერთიერთმანეთს საზოგადოების თვალში.

თქმა არ უნდა, რომ ვინც უკვე სახელ-გატეხილია, ვინც ჩვეულია გონებრივ და ყოველგვარ სხვა ხულიგანობას, იმას სახელი ვერ გაუმრთელდება და თვითონაც ვერ გასწორდება. ის კი, ვინც პატიოსნად მიჩნეულია საზოგადოების თვალში, ის მაინც უჩირქოდ დარჩება, რამდენიც უნდა ეცადონ ტალახში ამოსვარონ მისი პიროვნება და საქმიანობა.

მხოლოდ ამ იმედით განაგრძობს საზოგადო მოღვაწე თავის მუშაობას, თორემ ერთი კალმის მოსმით შესაძლებელი რომ ყოფილიყოს ამგვარი ადამიანის მოსპობა, მაშინ ხომ დღესაც არავინ გვეყოლებოდა საზოგადო სარბიელზე მომუშავე.

ყოველთვის და ყოველგან, სადაც ხალხი განვითარებულია და განათლებული, არსებობს ეგრედ წოდებული **საზოგადოებრივი აზრი.**

ამ აზრის არსებობა ძლიერი ძალაა, მნიშვნელოვანია ფაქტორია ხალხის წინსვლისათვის. სადაც იგი არ არსებობს ის ხალხი კულტურულის მხრით ჩამოქვეითებულად უნდა ჩაითვალოს. ამიტომ შეგნებული წევრი სამშობლო ხალხისა მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს, ხელი შეუწყოს **საზოგადოებრივი აზრის** გაჩენას და განმტკიცებას.

არსებობს თუ არა ჩვენში საზოგადოებრივი აზრი?

ჩვენის აზრით, არსებობს, მაგრამ მისი მდგომარეობა ძლიერ სუსტია, მაშასადამე ჩვენ, ბეჭდვითი სიტყვის თაყვანისმცემელნი, მოვალენი ვართ მეტად ფაქიზად მოვეპყრათ ჩვენს კალამს.

თუ ბეჭდვითი ორგანო ორჭოფობს, მრუდედ ეკიდება საგანს განხილვის დროს, ეს გარემოება თვალსაჩინოდ ვნებს საზოგადოების ინტერესებს.

ამიტომ ყველა მოვალეა ამხილოს ეს პერიოდული გამოცემა.

ჩვენ დიდის გულის ტკივილით ვკითხულობთ „სახალხო გაზეთში“ დასტამბულ წერილებს სათავად-აზნაურო საქმეების შესახებ.

ეს გაზეთი ან გაჩუმებული უმზერს იმ ბრძოლას, რომელიც გაჩაღებულია თავად აზნაურობის წრეებში, ან, თუ წარმოსთქვა რამ, ისეთის ორჭოფობით წარმოსთქვამს ხოლმე, რომ დღევანდელი მებაირაღტრენი ხელზე იხვევენ მის ნათქვამს და თავის სასარგებლოდ იყენებენ.

ნუთუ საწყენი, ნუთუ გულდასათუთქი ამბავი არ არის დღევანდელი თანხმობითი მოქმედება „სახალხო გაზეთის“ და „ზაკავკაზიესი“?!..

თავად-აზნაურობის საქმეების მსვლელობის შესახებ „სახალხო გაზეთის“ წერილების ნაწილები ისე ხელოვნურად არის ერთიერთმანეთთან შეკოწიწებული, რომ თავად-აზნაურობის დღევანდელი მებაირაღტრენი ერთ ნაწილს თავის სასარგებლოდ იყენებენ, დანარჩენს კი უყურადღებოდ სტოვებენ.

„სახალხო გაზეთი“ ამ ვივისექციას გულ-გრილად შეჰყურებს და არას ამბობს.

ნუთუ ეს საკადრისია იმ ორგანოსათვის, რომელიც ამაყობს თავის „წინაპრებით“?

ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ გეგმას მუშაობისას, რომელსაც ადგას დღეს სათავად-აზნაურო დაწესებულება ისევე, როგორც არ ეთანხმებოდენ ერთ დროს მას ბ. გრიგოლ რცხილაძე და მისი თანამშრომელნი.

ჩვენ ყოველთვის გვაოცებდა და გვაოცებს კიდეც, როდესაც ბ. გრიგოლ რცხილაძეს ვხედავთ ბ. მიხელ მაჩაბლისა თავ. გიორგი ბაგრატიონისა და თავ. ნიკოლოზ თუმანიშვილისთანა „მოღვაწეების“ გვერდით მუშაობის დროს.

ბ. გრიგოლ რცხილაძემ, რომელსაც დიდი გავლენა აქვს „სახალხო გაზეთში“, უნდა იცოდეს, რომ აქ დასაფარავი არა არის-რა. თუ გამოიცვალა აზრი, პირდაპირ სთქვას.

განა აზრის გამოცვლა დასაძრახისია, უკეთუ ეს ქარაფშუტობის შედეგს არ შეადგენს?

ნუთუ, ბ. გრ. რცხილაძე ვერ ხედავს, რომ „სახალხო გაზეთის“ წერილები ოპოზიციას ხვდება და საქმეს აფუჭებს. რაც უნდა იყოს, ამ გაზეთის „წინაპრების“ წინანდელი შარავანდედი ხომ ჯერ კიდევ მთლად არ გაუბნევიათ დღევანდელ მემკვიდრეებს!..

ჩვენ შეგვეძლო მოგვეყვანა მრავალი ამონაწერი გრ. რცხილაძის წინანდელ

წერილებიდან, რომელიც უტყუვრად დაგვიმტკიცებდა ჩვენი და მისი წინანდელი შეხედულების ერთიანობას და იგივეობას.

ახლა კი „სახალხო გაზეთი" ჰლამობს გამოაცხადოს მთელი ოპოზიცია როგორც პირადობის ნიადაგზე მდგომი ესეც მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ურევიან ისეთები, რომელნიც პირადად „ემტერებიან" დღევანდელ მეთაურებსო. მაგრამ „სახალხო გაზეთს" ავიწყდება, რომ ოპოზიცია უფრო ადრე გაჩნდა, კიდრე ეს პირები და მეთაურები გაშორდებოდნენ ერთმანეთს.

„სახალხო გაზეთს" ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ეს პირები არც ჰმალავენ, რომ პრინციპების მხრით თანახმანი არიან მეთაურების შეხედულებისა თავად-აზნაურობის საქმეების მიმართულებაზე. დიაღ! არსებობს კიდევ სხვა მიმართულება ოპოზიციაში, რომელიც უფრო ადრე დაიბადა. სწორედ აი ამის შესახებ გვსურს შევიტყოთ, რას ჰფიქრობენ გრ. რცხილაძე და „სახალხო გაზეთი"?...

ჩვენც ძალიან კარგად ვიცით, რომ „წოდებრივი დაწესებულება ეროვნების ინტერესების დამცველად" ვერ გარდიქმნება, მაგრამ, ნუთუ ყველასათვის ცხადი არ არის, რომ საჭიროა ბეჭდვითმა სიტყვამ გაამხნევოს ამ წოდებაში მყოფი ისეთი ელემენტები, რომელთაც სურთ წოდებრივი ქონება საქვეყნო საქმეს მოახმარონ?

თუ „სახალხო გაზეთი" მართლაც მის მიერ გამოთქმულ ამ შეხედულებისაა თავად-აზნაურობის დაწესებულებაზე, მაშინ რად მუშაობენ „სახალხო გაზეთის" თანამშრომელნი და თვით ბ. გრ. რცხილაძე ამ წოდებრივ დაწესებულებაში?

ვინც არ თანაუგრძნობს, ის გარედ რჩება და გარედანვე ეწევა კრიტიკას და შესაფერ გავლენის მოხდენას.

არა! ყველაფერი ეს ღრმად ჩასაფიქრებელია.

საჭიროა „სახალხო გაზეთი" ყურადღებით მოეპყრას ამ წერილში აღძრულ კითხვებს, თუ სურს სრულებით არ დაშორდეს ქართველ ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილს....

განმანათლებელი დაწესებულება ქუთაისში.

ქართველთა შორის წ. კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ ამ 3—4 წლის წინად ფრიად სასარგებლო ნაბიჯი გადადგა თავის ცხოვრებაში სხვადასხვა განყოფილების დაარსებით. ამით მას დემოკრატიული ხასიათი მიეცა, ამ ცვლილებამ პროვინციალური ძალები აამუშავა და შეაბა ამ სახალხო საქმეში. განყოფილებათა მოქმედება კი იმედს იძლევა იმისას, რომ ხსენებული საზოგადოება მოღონიერების გზაზე შედგა და შეაქვს ცნობიერება ქართველ საზოგადოებაში. ამ მიზნის განსახორციელებლად დღემდის თუ მარტო თბილელნი ფიქრობდენ და მოდუნებულად საქმობდენ,—დღეს მათ პროვინციაშიაც გაუჩნდათ გულწრფელი თანამშრომლები და თანამგრძნობნი.

ერთი ამგვარი თანამშრომელი განყოფილება ქართველთა განმანათლებელ ცენტრალურ დაწესებულებისა ამ სამი წლის წინად დასავლეთ საქართველოს დედა ქალაქ ქუთაისშიც დაარსა აქაურმა ინტელიგენციამ. სამი წელიწადი მან ამის მოწყობა-ორგანიზაციას მოანდომა და თავის მცირე საშუალების მიხედვით პრაქტიკული ზომებიც მიიღო ხალხში განათლების შესატანად.

განყოფილების გამგეობამ ამ წლის დასაწყისში წარუდგინა საზოგადოების წევრებს თავის სამი წლის ნამოქმედარი, დასძინა, რომ მეტის გაკეთება ვერ მოხერხდა დღევანდელ პირობებშიო და მისცა საზოგადოებას წინადადება გამგეობის წევრთა მომატებისა.

იანვრის კრებაც დათანხმდა და ხუთი თანამშრომელი კიდევ ამოურჩია. არჩეულთა შორის სამი მანდილოსანია. ამნაირად ქუთაისის განყოფილება, ძველი გამოცდილი და შემატებული ახალი ძალებით განაგრძობს მუშაობას. ახალ გამგეობას დღემდის სამი კრება ჰქონდა თავის მომავალი მოქმედების პროგრამის შესამუშავებლად.

აირჩიეს თავიანთ შორის სამი სექცია. პირველი არის: „ბიბლიოთეკა-სამკითხველოების სექცია, რომელშიაც იმუშავებენ: ქ-ნნი მარიამ ვარდოსანიძის ასული, მელანია გველესიანისა, ბბ. ს. ხეჩინოვი, ს. ყიფიანი, ტ. ჯაფარიძე და ი. კვიცარიძე. ამათ უნდა შეიმუშაონ სოფლის სამკითხველოებისათვის ბინის საკითხი, მოაწყონ სოფლად სამკითხველოების საზოგადო განათლების, მნიშვნელობა, ლექციების კითხვა, მოაწესრიგონ ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით, სამკითხველოების გამრავლებით საქმე და სხ.

მეორე არის წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი სექცია, რომელშიაც შედიან: ს. ხუნდაძე, ი. ოცხელი და კვიცარიძე, ტ. ჯაფარიძე და ს. ყიფიანი. ამათ უნდა შეიმუშაონ გეგმა, როგორი წიგნები უნდა გამოსცეს განყოფილებამ; როგორ და სად უნდა გაავრცელონ ისინი. ამავე სექციამ უნდა გამონახოს საშუალება წიგნების გამოცემის და გავრცელების გასაადვილებლად.

მესამე არის განყოფილების ნივთიერი მხარის გაძლიერების სექცია, სეირნობა-საღამოების გამართვისა, რომელშიაც არჩეულ არიან: „ქ-ნნი მელანია გველესიანისა, მარიამ ვარდოსანიძის ასული, ელისაბედ ტყეშელაშვილისა და ი. ოცხელი.

გამგეობამ დაადგინა აგრეთვე აირჩიოს დამხმარე აგენტები ყველა თვალსაჩინო დაწესებულებისა და პროფესიებში. ამათ ექნებათ გამგეობის წიგნაკები წევრების შესაძენად. ამათვე ექნებათ გამგეობის მიერ დაბეჭდილი მოწოდება, რომელშიაც მოკლედ არის განმარტებული განმანათლებელი მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისათვის წერა-კითხვის საზოგადოებისა და უპირატესობა ამ დედა საზოგადოებაში აქ წევრათ ჩაწერისა.

თვითეულმა სექციამ უნდა შეიმუშაოს დაწვრილებით თავის პროგრამა და წარუდგინოს გამგეობას დასამტკიცებლად. ამნაირად ქუთათურ განყოფილების გამგეობა დღეიდან შესამჩნევად აფართოებს თავის სამოქმედო პროგრამას. ვნახოთ ჩვენი საზოგადოება რამდენათ გამოუცხადებს თანაგრძნობასა და დახმარებას.

10 თებერვლის მესამე კრებაზე გადაწყდა რამდენიმე მიმდინარე საკითხები. მაგ. სამი სტუდენტის თხოვნა, განყოფილებამ გვიშუამდგომლოს უმთავრეს გამგეობის წინაშე, რომ დაგვინიშნონ ნიკო ღოღობერიძის სტიპენდიებიო. სტიპენდიების განაწილებას გამგეობას მეტად გამოურკვევლად და ფრიად მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნია და კაი ხანია ფიქრობს მის უკეთ მოწესრიგების შესახებ მთავარ გამგეობას თავის მოსაზრებანი წარუდგინოს მასთან ერთად შეიმუშავოს საერთო წესები, თუ ვის და როგორ უნდა ეძლეოდეს ასეთი საქველმოქმედო ფულები. ამიტომ ახლა მთხოვნელებს თხოვნაზე სტუდენტებს უარი უთხრა, ვიდრე არ შემუშავდება საერთო გეგმა სტიპენდიების განაწილებისა. გამგეობა მის შესახებ თავისს დასაბუთებულ აზრს შეიტანს განყოფილებათა წარმომადგენლების კრებაზე. ეს კრება ახლო მომავალში უნდა მოხდეს. მთავარმა გამგეობამ აირჩია აგრეთვე სასკოლო სექცია, რომელშიაც შედიან: ი. ოცხელი, ს. ხუნდაძე, ს. ყიფიანი და ტ. ჯაფარიძე. ამ უკანასკნელმა კრებაზე განაცხადა, რომ რაკი მთავრობას განზრახული ჰქონია მთელ გუბერნიაში 1250 სკოლა გახსნას და ამათში მხოლოდ 568 არის მარტო გახსნილი, ხოლო დანარჩენი უნდა მალე გაიხსნას,—ამისათვის ურიგო არ იქნება განყოფილებამ სამკითხველოებს და სხვა საქმეებს მეტი ყურადღება მიაპყრას, ვიდრე თავის სკოლების გახსნას, რადგანაც ეს საქმე დიდ ხარჯს მოითხოვსო. ამის შესახებ მოხსენება სექციამ უნდა წარუდგინოს გამგეობას.

იმავე საერთო კრებაზე ქუთაისის განყოფილების გამგეობას სხვა სათანადო საკითხებიც აქვს შემუშავებული და წარსადგენი, მაგ. განყოფილებათა წევრების უფლებების საკითხი, საწევრო ფულების დაკლება, ერთნაირი სალიტერატურო ენის შემუშავების საკითხი, რომელიც აღძრა ბ. გრიგოლ გველესიანმა, ბ. გ. გველესიანმა გამგეობას უკვე წარმოუდგინა მოკლე მოხსენება ამ საქმის პრაქტიკულათ განხორციელების შესახებ.

გამგეობამ მიიღო ეს მოხსენება ზოგიერთ მუხლების შესწორებით და დაადგინა წარგზავნოს ისიც თავის სხვა მოხსენებასთან ერთად მთავარ გამგეობას. რადგან ეს საკითხი ყველა ქართველი მკითხველისათვის საინტერესოა—ამისათვის ახლო მომავალში „თემის" მკითხველებსაც გავაცნობ მას.

10 თებერვლის კრებაზე, სხვათა შორის, გამგეობამ უარჰყო უცნობ სიმონ თოლორლავას თხოვნა. ბ. თოლორლავა თავის ბიოგრაფიულ ცნობებით შეზავებულ გრძელი არზით მიუმართავს ქუთაისის განყოფილებისათვის, რომ მას მანამდე ცხოვრებისგან გარიყულს, განმათავისუფლებელ მოძრაობის შემდეგ ხელი მიუყვია ქართული ენის შესწავლისათვის, თან დასამტკიცებელ საბუთად ერთი შეკვრა ლექსთა კრებული ჩაუკერებია თხოვნაში და „სატრფოსადმი" მიმართვით დაუწყვია თავისი „სამ გალითო" ლექსთა კონა.

აი ამ საბუთის ძალით ითხოვდა ეს ბატონი მოლექსე, სწავლის სურვილი მაქვს აღძრული, სასწავლებელში მინდა წავიდე და თქვენ თუ განათლების გამავრცელებლები ხართ 500 მან. მასესხეთ, თითქო წ.-კ. გ. საზოგ დოება რომელიმე საკრედიტო დაწესებულება იყვეს.

წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას სხვა უფრო საჭირო საქმეთა გასაძღოლად არა აქვს შესაფერი თანხა ამგვარი უცნაური თხოვნის დაკმაყოფილებას როგორ შესძლებს?... ჩანს ამგვარ პირებს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ წ.-კ. საზოგადოების დღევანდელი დანიშნულება!

ისო.

საჭირო საქმე.

ამას წინად ახალგაზრდა მხატვარმა, კ. ქავთარაძემ ქართულ თეატრის დარბაზში გამოჰფინა სხვადასხვა სურათები. საზოგადოებამ და ბეჭდვითი სიტყვამაც ძალიან მოიწონა ეს გამოფენა და ბევრი სურათი ჟიდეც შეიძინეს კერძო პირებმა. რამდენადაც გვახსოვს, ეს პირველი გამოფენა არის ჩვენში გამართული მარტივად და ცოცხლად დახატულ სხვადასხვა ტიპებისა. სასურველი კი არის, რომ ასეთი სურათები ჩვენს ოჯახებშ-აც გავრცელდეს, რომ სხვა ქვეყნის სურათებთან ერთად ჩვენი ახლობელი ტიპების სურათიც მოეპოვებოდეს ადამიანს.

მხატვარს ამისათვის განუზრახავს ამგვარ სურათების გამოცემა და ნავარაუდევი აქვს საქართველოს სავადასხვა კუთხის ტიპების გამოცემა ერთ დიდ კრებულად, ქართველ ტომის დასახასიათებლად. თვითეული სურათი ადგილზე იქნება დახატული და ამგვარად მთელი კრებული წარმოადგენს ცოცხალ პირთა ხელოვნურ სურათს. ამ ალბომში მოთავსებული იქნება სურათი ქალის, კაცის, და ბავშვის, სხვადასხვა ჰასაკისა და სხვა წრის წარმომადგენელთა პირი. დაახლოვებით ამგვარად იქნება განაწილებული: ქართლელის 7 სურათი, იმერლის 7, კახელის 6, გურულის 7, მეგრელის 5, რაჭველის 3, ფშავის 4, ხევსურის 3, თუშის 3, მოხევესი 2, სვანის 3, აჭარელის 3, ინგილოსი 3, ლაზის 2, აფხაზის 2, სულ 60-მდე. თვითეული სურათი იქნება 16×20 სანტიმეტრამდე, სქელ, ეგრედ წოდებულ „ცარცის" ქაღალდზე დაბეჭდილი. მთელი ალბომი იქნება შემდგარი სამოც ფურცლიდან. ზომა ექნება 25×32 სანტიმეტრამდე.

ალბომის სრული გამოცემა დაჯდება ერთ თუმნად. ხელის მოწერისას უნდა იქნეს გადახდილი სამი მანეთი, მეორე სამი მანეთი ორი თვის შემდეგ, და დანარჩენი ოთხი მანეთიც ჩაბარებისას.

სასურველია, რომ საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდოს ამ განზრახვას. ამით ორი მიზანი განხორციელდება: მსურველს ექნება ჩვენი ეროვნული ოჯახის ცოცხალ წარმომადგენელთა სურათების კრებული და ახალგაზრდა მხატვარს მიეცემა ღონისძიება ადგილობრივ შეისწავლოს საქართველოს ყოველი კუთხე ჩვენც გაგვაცნოს მასზედ გაბნეული ჩვენი თანამოძმენი. ამ სურათებთან ერთად შეიძლება შეგროვდეს ადგილობრივ სხვა მასალაც, რომელიც ამგვარადვე გამოიცემა სამერმისოდ ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრების დასახასიათებლად. ამგვარი გამოცემა დიდ სამსახურს გაგვიწევს ჩვენი ქვეყნის შესწავლის საქმეში და მეტის-მეტად დაეხმარება ახალგაზრდა თაობასაც, რომელიც ისეთ გარემოებაში იზრდება, რომ არც თავის თანამოძმეს იცნობს და არც საკუთარს ქვეყანას.

იმედია, საზოგადოებაც ხელს შეუწყობს ახალგაზდა მხატვრის სასარგებლო განზრახვის განხორციელებას.

ვ. ლ.

გალაღებულ კალმოსანს

მლანძღველ მწერალთა წრეს კიდევ ერთი „თვალს ჩინო" პიროვნება შეემატა.

საკმარისია საზღვარ-გარედ გავიდეს ახალგაზრდა, ზერელად გაეცნოს წიგნაკების და მრავალ ჟურნალ-გაზეთის საშუალებით მეცნიერების და ხელოვნების საკითხებს, რომ სამშობლოში დაბრუნებისთანავე სპეციალობის მიხედვით თავი სპენსერად ან ბრანდესად მოგვაჩვენოს თავის წარმოდგენაში ის მწვერვალზე ასკუპებული ზევიდან ზიზღით გადმოგვყურებს ჩვენ უბრალო მომაკვდავებს.

სწორედ ამისთანა გულ-ზვიად მწერლად მოგვაჩვენა თავი ახალგაზრდა გერონტი ქიქოძემ, რომელ'აც ამას წინად „სახალხო გაზეთში" ბ. მიხ. წულუკიძის წინააღმდეგ არასაკადრისი წერილი დასტამბა. დღევანდელ ნომერში იბეჭდება თვით მიხ. წულუკიძის საპასუხო წერილი, რომელშიაც ის არსებითად ეხება საკამათო საგანს.

ჩვენ აქ მხოლოდ ეთიკის მხარეს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას. იმის მაგიერ, რომ დამშვიდებულად გაერჩია მ. წულუკიძის წერილი, ბ. ქიქოძემ სრულებით მიულოდნელად გამოილაშქრა პიროვნების წინააღმდეგ და უკადრისად მოიხსენია ავტორი..

შეუსაბამო კილოს ვინა სჩივის, სრულებით უადგილოდ და უაზროდ ავტორის წოდებას—ქართველ თავადიშვილობასაც კი სწვდა.

აი რა „მოჯირითე ლიტერატორები" გვიჩნდებიან თანდათან. მოდი და ნუ იწამებ ჩვენი საზოგადოების წარმატებას.

მშვიდობიან ლიტერატურულ კრიტიკასთან რა საერთო უნდა ჰქონდეს ბრაზიან და უზრდელ სიტყვებს და კილოს?!.

თავის ფელეტონის ბოლოს ბ. ქიქოძე იქამდინ კადნიერდება, რომ „თემის" რედაქციას ირონიულად რჩევას აძლევს ბ. მიხ. წულუკიძისთანა მწერალს კალმის მაგივრად პოპულიარული მეცნიერული სახელმძღვანელო მიეციო.

არ ვიცით „თემის" რედაქცია რა აზრისაა ამის შესახებ, მაგრამ ჩვენ ჩვენის მხრით ვურჩევთ მეგობრულად ბ. გერონტი ქიქოძეს შემდეგში დიდებულ მხატვრებზე და მოქანდაკეებზე წერის დროს, თვითონ ნახოს მათი ნაწარმოებნი და მხოლოდ პირდაპირ შთაბეჭდილების მიღების შემდეგ გაუზიაროს აზრი მკითხველ საზოგადოებას, თორემ იმგვარ კომპილაციების წერას, როგორიც არის კრებულ „გრდემლში" დასტამბული მისი „ნაწარმოები" გამოჩენილ მოქანდაკე ოგიუსტ როდენის შესახებ, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება. მერე, ნუთუ კომპილაციის შედგენის დროს საჭირო არ არის წყაროების აღნიშვნა?

აი ახლაც 1904 წ. „ჟურნალ დლია ვსეხ"-ის მეცხრე ნომერში დასტამბულია ქ-ბ. ანასტასია ჩებოტარევსკის ვრცელი საინტერესო წერილი იმავე როდენზე. ვინც წაიკითხავს ბ. ქიქოძის და ქ-ბ. ჩებოტარევსკის წერილებს, ის უეჭველად იტყვის, ან ბ. გერონტი ქიქოძეს წაუკითხავს ქ-ბ. ჩებოტარევსკის წერილი და იმის მიხედვით გადმოუცია მკითხველებისათვის თავის „შთაბეჭდილება" როდენის ქანდაკებათაგან მიღებული, ანდა ამ ორივე მწერალს უსარგებლნიათ ერთი და იგივე „წყაროთი"...

დიაღ! ურიგო არ იქნება ახალგაზდა „კრიტიკოსმა" ამ ჩვენს რჩევას მეტი ყურადღება მიაქციოს...

კრაზანა.

„კრიტიკოს ფილოსოფოსის" გამოლაშქრება".

„სახალხო გაზეთის" სამშაბათის ნომერში (536) მოთავსებულია ბ. გერონტი ქიქოძის წერილი „ქართველი დიონისე და ესთეტიური კრიტიკა", რომელიც ჩემს მოხსენებას 16 იანვარს სალიტერატურო საღამოზე წაკითხულს („ესთეტიური კრიტიკის საფუძველი".—იხ. „თემის" № 57) ეხება.

ბ. ქიქოძე არჩევს, მაგრამ როგორ არჩევს, სერიოზული გარჩევა შეიძლება დაერქვას განა ლანძღვა-გინებას, მოწინააღმდეგეს აზრის დამახინჯებას, განზრახ იმის გაუგებლობას, რაც ასე ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია?!

დიახ, სწორე და მართალია ის შეხედულება, რომელიც ქართულ ჟურნალ-გაზეთობის და ლიტერატურის დაცემაზე ღაღადებს.

ამის უტყუარი მაჩვენებელი თვით ბ. გერონტი ქიქოძის ნაწერებია, განსაკუთრებით კი მისი უკანასკნელი წერილი, როგორც ვთქვი, თავიდან ბოლომდე ლანძღვა-გინებაზე, აზრების დამახინჯებაზე, გაუგებრობაზე და უბრალო ოხუნჯობაზე აშენებული. მე მგონია „ვეტერინარი, ფარმაცევტი, სანიტარი, ან კიდევ პარიკმახერი და მისი თანაშემწე" გაცილებით მეტ ზრდილობას და სიმართლის სიყვარულს გამოიჩენდენ, ვიდრე ეს ბ. „ლიტერატორმა"—გერონტი ქიქოძემ გამოიჩინა.

ამიტომ მე სრულებით უყურადღებოთ ვტოვებ „ფილოსოფიურ ნაწყვეტების" და "ო. როდენის" „ნიჭიერ" ავტორის ჩემს პიროვნებაზე მიმართულ ლანძღვა-გინებას და პირდაპირ გადავდივარ იმ „დებულებათა" გარჩევაზე, რომელიც ბ. „ესთეტიკოსმა" ჩემ წერილის წინააღმდეგ წამოაყენა.

1) „ქართველ დიონისეს" ავტორს არ მოსწონებია ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ „კაცობრიობის კულტურული მუშაობა, წინსვლა, მისი **პოტენციალური ძალა** ორ სხვადასხვა გვარ სფეროში გამოიხატება: „მეცნიერებაში და ხელოვნებაში".

„ამ სიბრძნის შესახებ მოვახსენებთ ბ. მიხ. წულუკიძეს—ამბობს ბ. გერონტი ქიქოძე,—რომ „პოტენციალური" ძალა ნიშნავს ფარულს, ანუ ისეთს ძალას, რომელიც მხოლოდ შესაძლობლობაში არსებობს და ჯერ კიდევ არ გაშლილა. მეცნიერება და ხელოვნება კი არსებობს არა ფარულად, არა შესაძლებლობაში, არამედ აშკარად, სინამდვილეში, როგორც მეტის-მეტად მომქმედნი აქტიური კულტურული ფაქტი"-ო.

უკაცრავად ბ-ნო „ფილოსოფოსო"!— ნება მიბოძეთ ამ თქვენ „სიბრძნეს" არ დავეთანხმო, **პოტენციალური ძალა**, ჩემის აზრით, არის ისეთი ძალა, რომელიც ფარულად კი არ რჩება, არამედ მუდამ იშლება, მუდამ ჰქმნის, შეუწყვეტელივ შემოქმედებას ეწევა, მაგრამ ამასთანავე ეს უშრეტი ძალა როდი იცლება—ის დაუსრულებელ შესაძლებლობას წარმოადგენს.

დიახ! ასე მესმის მე პოტენციალური ძალა კაცობრიობისა. განა ამ უკანასკნელმა უკვე სთქვა ყველაფერი, რაც შეუძლია მან კიდევ სთქვას მეცნიერებაში და ხელოვნებაში? განა ნახა მან უკვე თავის თავი სულიერ კულტურულ შემოქმედებაში? ბ. გერონტი ქიქოძე კი ამას ამტკიცებს.

რომ ეს ასე იყოს, ძალიან სამწუხარო, პირდაპირ ტრაღიკულ მოვლენის მოწმე ვიქნებოდით—იმ მოვლენის, რომ კაცობრიობის ენერგია დაიშრიტა, დაცარიელდა და ამიტომ აღარაფერს აღარ უნდა მოველოდეთ მისგან.

რამდენი კითხვებია ჯერ კიდევ ხელოვნებაში და მეცნიერებაში წამოსაყენებელი და გადასაწყვეტი—ეს ღმერთმა უწყის,—რამდენი **შესაძლებლობაა** წარმოსადგენი—ამაზე მხოლოდ ოცნება თუ დაგვეხმარება.

განა არ უნდა მოველოდეთ, ახალ კანტს, ვუნდტს, რაფაელს, მიქელ ანჯელოს, რომელნიც მეტის გენიალობით გადაგვიშლიან თვალ-წინ წარმტაც სურათს სიმართლისას და მშვენიერებისას, დაგვანახვებენ სრულ-ქმნილ ადამიანის ძალას მის შემოქმედების უნარს და ძლიერებას, დაგვიხატავენ კაცობრიობის ახალ ჰორიზონტს,—ახალ **შესაძლებლობის** განხორციელების, განსახიერების აუცილებლობაზე გამოგვესაუბრებიან,—აი, როგორ მესმის მე ის „ფარული" ძალა, რომლის წინააღმდეგ ღაღადებს ბ. გერონტი ქიქოძე. ერთი აგვიხსნას „სრულ-ქმნილმა ფილოსოფოსმა", როგორ თუ არ იმითი, რაც უკვე შექმნილია კაცობრიობისაგან თავისი დიდებულ, გენიალურ წარმომადგენელთა საშუალებით უნდა გავზომოთ კაცობრიობის **„პოტენციალური ძალა"**? მე მგონია ამ ჭეშმარიტების გასაგებად მიუნქენის უნივერსიტეტის სტუდენტობა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს;—საკმარისია მეხუთე, მეექვსე კლასის მოწაფეობა;

2) ლანძღვა-გინებაში დახელოვნებული „ესთეტიკოსი" არც შემდეგ ჩემ დებულებას ეთანხმება: „თანამედროვე ცხოვრებამ განსაკუთრებული ყურადღება ხელოვნებას მიაქცია და მეცნიერული კვლევა-ძიება მეორე ხარისხოვან დარგად იცნო" ამაზე ბ. გერონტი ქიქოძე ბრძანებს: „ვისაც ცოტათი მაინც გაეგება თანამედროვე კულტურული ცხოვრებისა, ის ეჭვს გარეშე შეამჩნევდა, რომ ეს უკანასკნელი სწორედ მეცნიერებას აქცევს განსაკუთრებულს ყურადღებას"... რა არის ეს, თუ არა გაუგებრობაზე აშენებული დებულება? როგორ შეიძლება იმაზე სერიოზულად ლაპარაკი, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი სიმპატია, როგორც მასიური მოვლენა, მეცნიერებისკენ იყოს მიმართული და არა ხელოვნებისკენ!

და მე სწორეთ ასეთ მასიურ მოვლენაზე ვამბობ ჩემ ფრაზაში „თანამედროვე ცხოვრებამ განსაკუთრებული ყურადღება ხელოვნებას მიაქცია", და არა იმაზე თითქოს ხელოვნება უფრო განვითარებული იყოს ვიდრე მეცნიერება, ან კიდევ იმაზე, ვითომ ღირებულების მხრივ ხელოვნებას მეცნიერებაზე ზევით ვაყენებდე. დიახ „თანამედროვე ცხოვრებამ ხელოვნებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია"—ეს ფაქტია, რომლის ახსნას თანამედროვე საზოგადოებრივ ფსიხიკის მიმართულებაში უნდა ვეძებდეთ,—აქ არის მისი დასაწყისი. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერება ეხლა ძლიერ განვითარებულია, ხელოვნება მეტ სიმპატიებს იპყრობს, ვიდრე მეცნიერება.

როგორ ჰგონია ბ. ქიქოძეს, ვის უფრო იცნობს ფართო საზოგადოებრივი მასსა, და არა განსაზღვრული კატეგორია მეცნიერებისა და სპეციალისტებისა, ხელოვნების წარმომადგენელთ, თუ მეცნიერების? ვინ უფრო აინტერესებს თანამედროვე საზოგადოებას: ვაგნერი, რიხ. შტრაუსი, კლინგერი, თუ ვუნდტი ბიუხერი, რეპინი, ბალმონტი, როდენი, თუ პავლოვი და მენდელეევი, ოუაილდი, დ'ანუნციო, თუ რამზაი და ბერგსონი, ან ვლ. სოლოვიოვი?

ნუ თუ ჰგონია, მეცნიერება და მისი წარმომადგენელნი? არასოდეს!—მიუხედავათ იმისა, რომ თანამედროვე მეცნიერება ძლიერ განვითარებულია.

დრო თხოულობს ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ ინტერესს.

იყო დრო, როდესაც მეცნიერება (თუმცა ის ისე განვითარებული არ იყო, როგორც დღეს არის) მთელი საზოგადოების ყურადღებას და სიმპატიას იპყრობდა. მაგ. რუსეთში მე-19 საუკუნეში (ასეთი დრო ყოველ ხალხს აქვს და შემდეგშიც ექნება; გაიხსენეთ ენციკლოპედისტების ხანა საფრანგეთში და ბიუხნერ-მოლეშოტის—გერმანიაში) მეცნიერებას განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი ჰქონდა მოპოვებული,—ხელოვნება კი სრულებით უვარგის საგნათ იყო მიჩნეული. რატომ, რისთვის?!. ამას საზოგადოებრივი ფსიხიკის მიმართულება, **დრო** მოითხოვდა.

ასეთ მდგომარეობაშია დღეს ხელოვნებაც.

აი ეს აზრი გამოვსთქვი მე ზემოხსენებულ ფრაზაში.

ბ. გერონტი ქიქოძემ კი ეს მარტივი აზრი ან ვერ გაიგო (ნუ თუ, როდესაც არა „ფილოსოფოსებმა" ის ადვილათ გასაგებათ ჩასთვალეს!), ან განზრახ დაამახინჯა და ამით თავისი „მეცნიერული" ფიზიონომია ნათლად დაგვანახვა.

ფრაზა ბ. ქიქოძისა:... „პირიქით წარსული ეპოქანი, მაგ. კლასიური დროის საბერძნეთი, რენესანსი, „ბაროკოს" და „როკოკოს" ხანა, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ხელოვნების და ცხოვრების ხელოვნურად გამშვენიერებას ბევრად მეტ ყურადღებას აქცევდა, ვიდრე ჩვენი ფხიზელი, კაპიტალისტური ეპოქა"..., სწორედ ჩემს აზრს ამტკიცებს შესახებ საზოგადოებრივი ფსიხიკის ამა თუ იმ დროზე დამოკიდებულებისა.

რას იტყვის ამაზე ბ-ნი „ფილოსოფოსი"?!.

3) შემდეგ ბ-ნი ქიქოძე იმ აზრს გამოსთქვამს, თითქო მე ფრაზაში „თუ მეცნიერებაში უპირველესი ადგილი უჭირავს **ინტელექტს**, ხელოვნებაში ინსტინკტი, ინტუიცია არისგამეფებული"—ის შეხედულება მქონდეს გატარებული, რომ ინსტინკტი და ინტუიცია ერთი და იგივეა, და იმის დასამტკიცებლათ, რომ ეს ორი ცნება სხვადასხვაგვარია, მოჰყავს ციტატები კანტიდან, შოპენჰაუერიდან, სპენსერიდან და მითითებს იმ ავტორებზე, რომელთაც შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ამ კითხვის გადაწყვეტაში.

სასაცილო კია, მაპატიეთ, ბ-ნი „ფილოსოფოსი" ამ ბავშვურ მტკიცებაში.

განა, ვინ არ იცის, ვისაც კი ცოტათი მაინც კავშირი აქვს მეცნიერებასთან, ფილოსოფიასთან, რომ ინსტინქტი და ინტუიცია სხვადასხვა ცნებაა.

მაშ რა საჭირო იყო ამდენი ლაპარაკი და „მთელი ფილოსოფიის" გადმობრუნება; ერთი მითხარით, ვის რას უმტკიცებთ?!.

თავის დღეში ფიქრადაც არ მომსვლია ორ სხვადასხვაგვარ ცნების—ინსტინქტისა და ინტუიციის გაერთიანება, თუ ისინი გვერდით მოვიყვანე და, მათ შორის მძიმე დავსვი,—განა ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ცნებანი გავაერთიანე? ეს იმიტომ ვქენი, რომ მხატვრულ შემოქმედებაში ამ ორ მომენტს განსაკუთრებულ როლს ვაკუთვნებ.

რას ჩხირკედელაობს, ბ-ნი „ესთეტიკოსი"!

რაც შეეხება იმ აზრს ბ. ქიქოძისას, რომ მე „ხელოვნებაში მარტო ინსტინქტი" გავამეფე, ამაზე თვით ჩემი წერილის სიტყვებით ვუპასუხებ.

როდესაც მე იქ ინტელექტსა, ინსტინქტსა და ინტუიციის შუა განსხვავებას ვეხები, შემდეგ შეხედულებას გამოვსთქვამ:

„ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომ როგორც ერთი, ისე მეორე დარგი ადამიანის სულიერ კულტურისა არ გადადიოდეს საზღვარს გრძნობათა და აზროვნების გაერთიანებულ მუშაობისას. ძალიან ხშირათ მეცნიერი თავის გამოკვლევათა თუ აზრთა გადმოცემაში მხატვარია, და ეს უკანასკნელი კი მეცნიერი. გაიხსენეთ ჯიორდანო ბრუნო, თომა კარლეილი, ვოლფგანგ გიოტე, შოპენჰაუერი, ვაგნერი, ნიცშე, ჰეკკელი და მისი მოწაფე ბელშე. ეს მწერლები თავის მეცნიერებაში მიუწდომელ აზრთა სრბოლაში შესანიშნავი ფორმის მქონებელი არიან და შეუდარებელ ხელოვნურ ნაწარმოებში სახელოვანი მეცნიერნი. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ყველა ეს ჩემის აზრის წინააღმდეგ იმის შესახებ, რომ მეცნიერებაში გამეფებულია ინტელექტი, ხოლო ხელოვნებაში ინსტინკტი, ინტუიცია არაფერს ამბობს: აზროვნებისა და გრძნობიერების სინტეზი, ინტელექტისა და ინსტინქტის სრული სინტეზი, რომ ერთსა და იმავე დროს ადამიანი, თუნდაც გენიალური, ერთხარისხოვანი იყოს, როგორც მეცნიერი და ხელოვანი, რომ ერთ პიროვნებაში ორივე მომენტი განხორციელებულიყოს, ჯერ კაცობრიობის ისტორიამ არ იცის. ან მეცნიერი გადააჭარბებს, ან ხელოვნების მათაყვანებელი".

რას ნიშნავს ეს, თუ არა იმას, როგორც გრძნობათა სამეფო, ისე გონება აქტიურ მონაწილეობას იღებენ მხატვრულ შემოქმედებაში, თუმც პირველობა ინსტინქტს, ინტუიციას ეკუთვნის?!.

რა არის ეს, თუ არა საშინელი დამახინჯება მოპირდაპირის აზრისა?!.

ეს დამახასიათებელია, ვიმეორებ, ბ-ნ ქიქოძის სამწერლო ფიზიონომიისა.

იარეთ ამ გზით ბ. „მეცნიერო", იარეთ და შორს წახვალთ!

სრულებით დამახინჯებულია და უადგილო ის ნაწილი ბ. ქიქოძის წერილისა, რომელიც დიონისეურ და აპოლონისებურ ელემენტებს ეხება ხელოვნება-

ში, „ხსნის“ მათ, მე მაწერს ამ ელემენტების ცნებათა არევ-დარევას და უბილოდ ოხუნჯობს.

სწორედ ჩემს შეხედულებიდან მასზე, თუ როგორი განსხვავება სუფევს ინტელექტსა, ინტინქტსა და ინსტუიციის შორის, გამომდინარეობს ის აუცილებელი დასკვნა, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩემგან შემოქმედებითი მუშაობის ელემენტების—დიონისებურისა და აპოლონისებურის—არევ-დარევა და ერთ და იგივეთ ჩათვლა. მე იმას ვამტკიცებ, რომ (სიმბოლიურათ რომ ვილაპარაკოთ) მხატვრული შემოქმედება დიონის-აპოლონისებური პროცესია; გიჟი (არა ისეთი, როგორც ზოგიერთი ადამიანი არის), დაუკავებელი, ექსტატიური, მუდამ მთვრალი (არა მიუნქენის ლუდით) **დიონისი** (გრძნობა) აპოლონისაგან (გონება) გაერთიანებულ პროცესში „სახიერდება და გარკვეულ ფორმებს იღებს“.

4) ბ. გერონტი ქიქოძე თავის „მსჯელობას“ განაგრძობს:

„რაც შეეხება იმ გენიალურ აზრს“, რომ „არის მეცნიერული კრიტიკა და მის გვერდით ესთეტიური“, რომ თითქო შემცდარია ის აზრი, რომ „არის მხოლოდ მეცნიერული კრიტიკა, რომელიც ხელოვნებასაც განაგებს და მეცნიერებასაც“, ის სრულს გაუგებრობასა ან ცნებათა არევ-დარევაზეა დაფუძნებული. განა ესთეტიკა მეცნიერება არ არის და ესთეტიური კრიტიკა მეცნიერული კრიტიკის ერთი ფორმა არ არის? თუ შეიძლება ჩვენს მხიარულს დიონისეს ესთეტიკა ხელოვნების ერთს დარგად მიაჩნია“? ამ ამონაწერის წაკითხვის შემდეგ მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რომ თვით გერონტი ქიქოძე მომხრე იყოს იმ აზრის, რომ მეცნიერულსა და ესთეტიურ კრიტიკის შუა არავითარი განსხვავება არ არის. მაგრამ ეს ასე არ არის.

ცოტა დაბლა ბ. გერ. ქიქოძე იმავე წერილში ბრძანებს: „რადგან გამოკვლევის სფერო სხვადასხვაა, ამიტომ ხელოვნების კრიტიკა განსხვავდება მეცნიერების კრიტიკისაგან...მეცნიერების კრიტიკა ჭეშმარიტების ღირებულებით ხელმძღვანელობს, ხელოვნების კრიტიკა მშვენიერების თვალსაზრისით“, მაშასადამე განსხვავება ამათ შორის ყოფილა თურმე, რადგან ისინი სხვადასხვა სფეროს ეხებიან! მაგრამ ეს ხომ ბ. ქიქოძის აზრის წინაამდეგია—იმ აზრისა, რომელთაც ამტკიცებს ბ. ქიქოძე რომ „მეცნიერული კრიტიკა ხელოვნებასაც განაგებს და მეცნიერებასაც“.

მე კი სწორედ ის შეხედულება გამყავს ჩემს წერილში, რომ რაკი „სხვადასხვა გვარი მოვლენაა მეცნიერება და ხელოვნება, სხვადასხვაა აგრეთვე მათი დაფასების საშუალება-კრიტიკა“, განა ეს შეხედულება იმ პირველ ჩემ დებულებიდან არ გამოდის ლოღიკურად, რომელიც ღაღადებს:

„კაცობრიობის კულტურული მუშაობა, წინსვლა, მისი პოტენციალური ძალა ორ სხვადასხვა სფეროში გამოიხატება: „მეცნიერებასა და ხელოვნებაში“...?

მაშ ვის ებრძვის ბ. ქიქოძე? სასაცილოა მეტად, სამწუხარო რომ არ იყოს!.

განა სადმე ჩემ წერილში შეიძლება კაცმა მოძებნოს ის აზრი, თითქოს ესთეტიკა „ხელოვნების ერთ დარგად“ მიმაჩნდეს, ან კიდევ ისა, რომ მეცნიერულსა და ესთეტიურ კრიტიკას სხვადასხვა **მეთოდი** ჰქონდეს?

მე ვამბობ და ამაში მეთანხმება უნებურად ბ-ნი „ფილოსოფოსიც“, რომ რადგან მეცნიერება და ხელოვნება ორი სხვადასხვა სფეროა, ამიტომ არის „მეცნიერული კრიტიკა და მის გვერდით—ესთეტიური“.

მაშ ვისი აზრია „გაუგებრობასა ან ცნებათა არევ-დარევაზე დაფუძნებული“? ეს მკითხველმა განსაჯოს თვითონ.

5) რაც შეეხება ჩემს აზრს, რომ „**უმეტესი** (დიახ, **უმეტესი**, და არა ყველა) ნაწილი თანამედ. კრიტიკ. ფორმას ნაკლებ ყურადღებას“ აქცევს, ამ აზრის დარღვევა ყოვლად შეუძლებელია. ეს ფაქტია! გაიხსენეთ კოგანი, არაბაჟინი, კრანიხფელდი და სხვ., ჩვენში კი სწორეთ ის კ. აბაშიძე და ივ. გომართელი, რომელთაც ასე ებლაუქება უწვერო ბ. ქიქოძე. ეჭვს გარეშეა, რომ ფორმას ყურადღებას აქცევს გაცილებით ნაკლები რიცხვი კრიტიკოსებისა და არა ყველა, როგორც ამას მაწერს ბ. ქიქოძე.

6) ჩვენი „ესთეტიკოსი“ გაუცხარებია აგრეთვე შემდეგ ჩვენს აზრს:

„რომ ხელოვანი სრულებითაც არა **ჰქმნის** ახალ საგნებს, არამედ მზამზარეულად იღებს მათ სინამდვილედან, და იმიტომ კიდევ, რომ საზოგადოთ ადამიანის შემოქმედება ყოველგვარი უკვე არსებულით იფარგლება; მეორე ახსნა კი განსაკუთრებით იმის გამო, რომ სინამდვილის გადასხვაფერება მხოლოდ დამახინჯებაა და არა რაიმე ღირებულების წარმოშობა“.

იგი გვეკითხება: „ძლიერ საინტერესოა ვიცოდეთ რომელ სინამდვილეში ნახა მზა მზარეულად ჩვენმა „განმანათლებელმა“ „ღვთაებრივი კომედია“, ან „მაკბეტი“, „მეცხრე სიმფონია“ ან „მონნალიზა“-ო.

რანაირად უნდა აზროვნებდეს ადამიანი, რომ ჩემი აზრი ისე გაიგოს, თითქო ხელოვნება ფოტოგრაფია უნდა იყოს.

„დიახ, „სინამდვილედან იღებს ხელოვნება“ **საგნებს**, რომელნიც იქ არსებობენ „მზამზარეულად“; როგორც მაგ. ხეს, ადამიანს, კაცთა შორის განწყობილებას, ცხოველებს. ამ აზრით ვსთქვი „ხელოვნება **ახალ საგნებს არა ქმნის** მეთქი“.

განა მაკბეტის ტრაგედია სინამდვილის ტრაგედია არ არის, განა ჰამლეტი ცხოვრებიდან ამოგლეჯილი არსება არ არის, განა მონნალიზა ის ქალი არ არის, რომელსაც ასე აღმერთებდა ლეონარდო—და ვინჩი?

ეს სინამდვილე რომ ფოტოგრაფიულად არ წარმოგვიდგეს თვალ-წინ, ამაზე ზრუნავს სუბიექტის მხატვრული შემოქმედება, რომელიც თავისუფლად მოქმედებს. სწორედ ამისათვის ვთქვი მე რომ „ფორმაში იხატება ხელოვანის მთელი ფიზიონომია“. ბ. გერონტი ქიქოძე კი ყველაფერს ამახინჯებს და მისგან შექმნილ აზრებს მაწერს.

დასასრულ ვიტყვი, რომ ბ. გერონტი ქიქოძეს თვით კრიტიკა არ აინტერესებს, თორემ შეუსაბამო კილოთი არ დაგვიწყებდა ლიტერატურულ კამათს.

მ. წულუკიძე.

ჟამსა მწუხრისას...

ჟამსა მწუხრისას გულ-ხელ დაკრეფით,
როს სასოებით ვდგები ლოცვათა,
ხალხის უხილავ ცრემლების ჩქეფით,
ხელებ გაწვდილი მივმართავ ცათა:

„უზენაესო! ნუ თუ არ გესმის
მარადიული კვნესა მართალთა,
ნუ თუ არ გესმის ხალხის გულის თქმის
ყრუ ამოგმინვა: „რისთვისო? რათა?!..

პასუხი!-გესმის ცათა მპყრობელო
მოგვეც პასუხი ჩვენს შეკითხვაზე,
თორემ იცოდე შენი სამსხვერპლო
აღარ დარჩება ქვეყანად ქვა ქვაზე.

გ. ქუჩიშვილი.

ამაყი სული.

თამამად ჩემო ამაყო სულო
დაუდგრომელო, ზავთო ბრძოლისავ!
აღშფოთდი გულო ოკეანისავ,
ასტყდი გრიგალო გრძნობათ ღელვისავ!..

იმედის მწვერვალს თავს ევლებოდა,
ძირს ნუ დაუშვებ დემონიურ ფრთებს;
ნურც მიენდობი საყვავ-ყორნებო
დიდ დარიალის უფსკრულ-ხეობებს.

დაე, უსაფრო დევნილი გრძნობა
ვერსად ჰპოებდეს ბჭეს მშვიდობისას,
უკვდავი იყოს ეგ შენი ტანჯვა
თვით გატაცების ჟამსა ტრფობისას!

დე, ვით შერისხულ ურჩ, ამაყ მოწას
წყევას გითვლიდნენ, ცა ხმელეთიდან
მაინც არ შეკრთე! შენი ძლევის ხმა
მედგრათ ისმოდეს ფრიალო კლდიდან!..

მაშ ჰეი, თამამად შენ ჩემო სულო
ძირს ნუ დაუშვებ დემონიურ ფრთებს.
შეუპოვარად დაჰქროდე მუდამ
კავკასიონის ტიტანიურ მთებს.

გ. ქუჩიშვილი.

„ავი ქალი“

(ქართული ლეგენდა)

ერთს გლეხ-კაცს ჰყავდა ცოლად ერთი მეტად ავი დედა-კაცი. თავისის ორგულობით, სიანჩხლით, კაპასობით, ამაყოფით, სიბრიყვითა, ბოროტებით ამპარტავნობით, გულხვამობით, გოროზობითა და უკეთურობით ერთს საშინელს ალქაჯს წარმოადგენდა, ამასთანავე იყო მეტად ლამაზი, მოხდენილი და კოხტა ადამიანი და ტურფა.

ქმარსა და შვილებს ისე გაუჭირა საქმე, რომ ცოტა გაწყდა, ქმარმა არ მოჰკლა ერთხელ.

რალაზედაც ქმარზედ გული მოუვიდა და დიდი ქოთანი, ცხელის შეჭამადით სავსე, თავზე დაახეთქა. სწვდა ცულს გამწარებული კაცი და ცოლს თავის ქალას შუაზე გაუპობდა, განზე რომ არ გახტომოდა.

როცა გააჯავრებდნენ, დაავლებდა ხელს, რაც კი მოხვდებოდა ხელში, კეტი იქნებოდა თუ ცული, ნამგალი თუ ცელი, სახრე თუ ღვედი, ხონჩა, თუ ქოთანი, შიგ თავში სდრუზამდა ხოლმე ყველას, მოურიდებლად, დიდი იქნებოდა ვინმე თუ პატარა, ქალი თუ კაცი, შინაური თუ უცხო არ ვის არ ზოგავდა.

ყველას სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა ამისაგან.

— როგორ მოვიშორო თავიდან ეს სულიერი, სთქვა ერთხელ გლეხმა,—მოვჰკლა,—ცოდო იქნება დიდი; ადამიანი აბა როგორ მოიკლების? გავისტუმრო მოყვრებში?—არ მიდის ეს ვერანა და რა ვქნა? არა, წავალ მოდი, მეფესთან, ყველას მწყალობელია, შევსჩივლებ და დამიხსნის ამ ჭირისაგან.

წავიდა მეფესთან.

— რაო რაზე გარჯილხარ, შვილო, ჰკითხა მეფემ.

მოახსენა მეფეს თავისი გაჭირვება საცოდავმა გლეხმა.

— ქვეყნის ბატონი ბრძანდები,—ამბობდა გლეხი, ბრძენთა-ბრძენი, მძლეთამძლე, მტრისა მგმობი, მამა ერისა, შენი ნება არ არის, შეგიძლია დააბნელო მზეცა და მთვარეცა, შეგიძლია ისევ აანათებინო, უბრძანე რამე, შენი ჭირიმე, შენსა მონასა, ნუ მტანჯავს, ნუ მჩაგრავს, იყოს ჩემი ერთგული, მოგვეკიდოს როგორც წესია.

დაფიქრდა მეფე.

— აი რას გეტყვი, შვილო, უბრძანა მან, მე არ ძალმიძს იმისი მორჯულება, ეს ჩემ ხელთ არ არის, დედაკაცმა თუ გაიწია, ხომ გაგიგონია, ცხრა უღელი ხარი ვერ მოერევაო და აბა მე რაღა შემიძლია, ჩვენ მომაკვდავი ადამიანნი ვერას გავაწყობთ ავ დედაკაცთან. შენ ბრაგუნას სერი ხომ იცი? იქ ერთს ხევში ერთი დიდი ხვრელია, ძველად-ძველი. ის ხვრელი ქაჯეთის სამეფოს გზის კარია. თუ როგორმე იმ ხვრელში ჩაიხედა ვინმე, იქიდან ვეღარ ამოვა. მიიტყუე შენი ქალი როგორმე და ჩაახედვინე იმ ხვრელში. იქ ისეთს რასმე დაინახავს, რომ თვალი აუჭრელდება, ჩავარდება შიგ და რაკიღა ვეღარ ამოვა, მოისვენებ მაშინ.

წავიდა გლეხი და თან ფიქრობს, ის სათოკე, ისა, ის სასიკვდილო, ის არ დასაცალებელი, არას დამიჯერებს, არ ჩაიხედავს ხვრელში, მიმიხვდება ჩემს ეშმაკობას, ყოველ ეშმაკს აჯობებს და ვაი თუ მე თვითონ ჩამახედვინოს. არა ასე არ ივარგებს, ხერხი სჯობია ღონესო, ნათქვამია, უნდა რამე ხერხი მოვიგონოო.

მიდის და ჰფიქრობს. ბოლოს როგორც იქნა, მოიგონა ხერხი.

სახლში მისვლისათანავე უთხრა ცოლს: მეფეს ვახლდი. შეშის დამზადება შემომიკვეთა ბრაგუნა სერის ძელეში. ხვალ წავალ. დაყოვნება არ ივარგებს; ხურჯინში ჩამილაგე რამე საგზალი. ორ დღეს უკან შეჭამადი მომიტანე.

ამაზე ცოლმა არა უთხრა-რა, აბა მეფის საწინააღმდეგოს როგორ გაჰბედავდა, დაუმზადა ხურჯინი და გაისტუმრა ტყეში.

მივიდა თუ არა გლეხი ხვრელთან დასჭრა ბლომად ფიჩხი და დააფარა ღია ორმოს, მერე კარგა ბლომად ბელტი დასჭრა და ზედ ფიჩხზედ ლამაზად შემოაწყო.

თავის დროზედ მოვიდა ცოლი და შეჭამადი მოუტანა, თან ცეცხლს ჰყრიდა პირიდან.

— შე ოხერო, შენა, შეუყვირა ქმარს, ამ სიშორეზედ რაზე ამომათრიე, შე წყეულო შენა, გულში თუ არა გიდევს-რა სიბოროტე? აჰა, ჰხეთქე ე შეჭამადი, აბა სად დავაწყო?

— აი, ჩემო კარგო, ე მაგ ბელტზე დააწყე და ჩამოჯექი, დაღალული ხარ.

შესდგა თუ არა ბელტზედ ფეხი ცოლმა, ფიჩხმა ლაწა-ლუწი დაიწყო, ჩაინგრა და შიგ ხვრელში კი ჩავარდა ყირამალა ეს ქალი თავისის შეჭამანდითა.

გადიწერა პირ-ჯვარი გლეხმა, ზეცისკენ აღაპყრო ხელი და სიხარულით შეჰყვირა: „გმადლობ შენ მაღალო ზეციერო, რომ ამ ჭირს გადამარჩინეო“! და გახარებულმა საჩქაროდ შინისაკენ გასწია.

გავიდა ერთი წელიწადი. „ავი ცოლის“ მოშორება ოჯახს ძალიან დაეტყო. ყველანი გულმოდგინებით მუშაობდნენ, ოჯახში დიდი სიამტკბილობა ჩამოვარდა, საშოვარიც და ჭირნახულიც ბევრი შეიძინეს, ყველა წელში გასწორდა და გლეხმა თავისის შვილებით დიდი პატივისცემა მოიხვეჭა.

წელიწადი რო შესრულდა რაც მეფის რჩევით მოშორდა თავის ცოლს, ეახლა მეფეს გლეხი მადლობის გადასახდელად.

რო მოახსენა მეფეს მადლობა და ის იყო უნდა გამოსულიყო დარბაზიდან უცბად შეხტა სახლში ერთი პატარა ეშმაკი, გრძელ-კუდიანი.

ახტა და გადახტა, ხან ყირამალა დადგა, ხან ტახტზე ახტა, ხან ასკინკილა ხტოდა, ხან ბზრიალასავით ტრიალებდა და ათამაშებდა თავის კუდს.

— დაწყნარდი, კარგი! რა იყო, რა გინდა შენ აქ? ჰკითხა ეშმაკს მეფემ.

— რა მინდა და ისა, რომ ჩემმა მეფემ, ეშმაკეთისა და ქაჯეთის მეფემ, გაახლა შენთან ჩემი თავი, გვიშველე რამეო, ეს ერთი წელიწადი გადის, რაც შენ სამეფოდან ჩამოგვივარდა ერთი დედაკაცი ფრიად ლამაზი, კოხტა და მოხდენილი, ტურფა ქალი. დაგვიმონავა, გაგვიბატონდა, აგვაწიოკა, აიკლო მთელი ჩვენი ქაჯეთი, გაგვიჭირა საქმე ისე, რო არც კი ვიცით რითი და როგორ მოვუაროთ საქმეს, რითი მოვიშოროთ თავიდან ჩამოვარდნილი ჭირი. გვიშველე, გეხვეწებით.

— უიჰ, დამიდგეს თვალი, ეს სწორედ ჩემი ცოლი იქნება, წამოიძახა გლეხმა.

— აბა, შვილო, მე რაღას გავაწყობდი შენ ქალთან თუ კი მთელმა ქაჯეთმა ვერა გააწყო-რა,—ბრძანა მეფემ. ქალი დაუძლეველია, დაუმატა და გაისტუმრა ეშმაკიცა და გლეხიცა.

კოტე ყიფიანი.

უდანაშაულოდ დასჯილი აფიცერი.

ერთს სასაცილო ამბავს მოგვითხრობს ვიღაც „მოხუცი“ „ამიერ კავკასიის რკინის გზების მოამბეში“.

სახალხო მატარებელი გამოვიდა ბათომიდან ბაქოსკენ. რიონის სადგურზედ, მეორე კლასის ვაგონში სწრაფად შეირბინა კონდუქტორმა და რაღაც შესდო ერთ ჩამოსაჯდომის ქვეშ. კარგად შეღამდა. მატარებელმა გაიარა რამდენიმე სადგური. კონდუქტორმა აანთო სანთელი ვაგონში. აქამომდე მოსაუბრე მოგზაურებს ძილი მოერიათ და ყველა თავის ბინას მიეშურა მისასვენებლად. ერთ ჩამოსაჯდომზედ, ახალგაზრდა ქალმა დაიხადა ფეხსაცმელი და მოსვენებას მისცა თავი. მის პირდაპირ დასაჯდომზედ საძილეთ ემზადებოდა ახალგაზრდა აფიცერიც. არ გასულა ნახევარი საათი, რომ ახალგაზრდა ქალმა ძილი დაიწყო, მაგრამ ამავე დროს იგრძნო, რომ ვიღამაც მას კაბა დასწია. ქალი შეიშმუშნა, იწყო აქეთ-იქით ცქერა, მაგრამ თავის ახლოს ვერავინ შენიშნა გარდა პირდაპირ მწოლიარე აფიცრისა. ქალმა ხელახლად მისცა ძილს თავი, თხუთმეტი წუთიც არც კი გასულა, რომ ვიღამაც ხელახლად ფეხებთან კაბა დასწია მას. ქალი ფეხზედ წამოხტა, რაღაც უკმაყოფილო ბუტბუტი იწყო და თანაც თვალს არ აშორებდა იქვე მწოლიარე აფიცერს, რომელიც წამოწოლილი განცვიფრებით უცქეროდა ამ ქალის ქცევას. ძარღვებ მოშლილი ქალი ხელახლად წამოწვა და თვალები მოხუჭა. არ გასულა 20 წუთი, რომ ვიღამაც ხელახლად დასწია კაბა და უჩქმიტა ფეხის თითზედ, რომელიც დაფარული იყო კაბის ქობით. ეხლა კი ვეღარ მოითმინა ყმაწვილმა ქალმა ამნაირი შეურაცხება, წამოხტა ფიცხლავ ფეხზედ და ისეთი მაგარი სილა გაულაწუნა პირდაპირ მწოლიარე აფიცერს, რომ მთელმა იქ მყოფმა მოგზაურებმა გაიგონეს. ახალგაზრდა აფიცერიც უმალ ფეხზედ წამოხტა და ქალს შეჰყვირა „რისთვის, რისთვის მაყენებ ამ შეურაცხებას“?

— რისთვის? მისთვის რომ უსინდისოთ, ძალადობით იქცევი! უყვიროდა მას ქალი. ასტყდა ვაგონში ვაი-უშველებელი და ლანძღვა-გინება მგზავრების მხრივ აფიცრის ამგვარ უზრდელ ქცევაზედ. ახალგაზრდა აფიცერი თავის მხრივ ხალხს არწმუნებდა, რომ მე ფიქრადაც არ მომსვლია ამგვარი საქციელიო, რომ მე არ დამიმსახურებია აქ ქალისაგან ამგვარი დამცირება და შერცხვენაო“, მაგრამ აღელვებული ხალხი ამას მაინც არ უსმენდა და „შეგარცხვინოს“, შეგარცხვინოს“! გაიძახოდა.

გაწიწმატებული და მოთმინებიდან გამოსული ახალგაზდა ქალი, რომელსაც გარს შემოხვეოდნენ მანდილოსნები და ამშვიდებდნენ მზად იყო ხელახლად მივარდნოდა აფიცერს და ეტკიცნა კიდევ სილა, მაგრამ ამ დროს მის ახლო მდგომარე ქალმა იგრძნო, რომ მას ვიღამაც ფეხზედ უჩქმიტა. ქალი ცქვიტად მობრუნდა იმ მხარეს, საიდგანაც ეს იგრძნო, კაბაზედ ხელი დაიკრა და რა დაინახა: მის კაბის ბოლოს ნისკარტით მაგრა მოსჭიდებოდა ბატი, რომელიც ქალის საწოლის ქვეშ შესვა კონდუქტორს ფეხებ შეკრული. ახალგაზრდა ქალი იძულებული შეიქმნა ხალხის წინაშე მოეთხოვა ბოდიში შეურაცხებაზედ აფიცრისათვის. სულგრძელმა აფიცერმა ქალს აპატია თავისი შეურაცხება.

გ. ფ—ლი.

ახალი ამბები

✦ რომში ეტლით სეირნობის დროს იტალიის მეფეს რევოლვერი ესროლა მუშა-კალატოზმა 21 წლისამ. მეფე და დედოფალი გადარჩნენ. მძიმედ დაჭრილია მაიორი ლანგი.

✦ სათათბიროში მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ. კოკოვცოვმა ბიუჯეტის გამო ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სხვათა შორის განაცხადა, რომ მთავრობა წინააღმდეგი არ არის თბილისში უნივერსიტეტის დაარსებისაო, ელის მხოლოდ პეტერბურგში მეფის მოადგილის მოსვლასო. ამ სიტყვამ დაგვიმტკიცა რომ მთავარ-მინისტრს კარგად არ სცოდნია კავკასიის გეოგრაფია. მან სთქვა, რომ „თბილისს გარშემო ამას წინად დასეირნობდა ზელიმხანიო“.

სად თბილისი და სად ზელიმხანი? თუ მთავარ-მინისტრი არ იცნობს სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილებს, რაღა უნდა მოვკითხოთ უბრალო მოხელეებს?..

✦ „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი ბ. მიხმაჩაბელი ინჟინერ ანდრონიკაშვილის საჩივრის გამო (უჩიოდა გაზეთში „ინჟინერ პროვოკატორი“ დამიძახაო) ოლქის სასამართლომ გაამტყუნა და საპატიმროში სამი დღით დამწყვდევა მიუსაჯა და 50 მან. ჯარიმის გადახდა. თუ ჯარიმას ვერ გადაიხდის, მაშინ უნდა ჩაჯდეს კიდევ 7 დღე.

✦ პრივატ-დოცენტმა კოგანმა ძლიერ საინტერესო ლექციები წაიკითხა სახაზინო თეატრში „ქალთა საკითხის და „თეატრის მნიშვნელობის“ შესახებ.

✦ ჩვენ მივიღეთ ჩვენი ახალგაზდა პოეტის ალ. შანშიაშვილისაგან მისი თხზულება, რომელსაც სათაურად აქვს „მედია“. ეს მესამე „ქმნაა“ „მედია და მშვენიერ ელენედან“. აღწერილია არგონავტების მოსვლა კოლხეთში და იასონისაგან ოქროს მატყლოვან ვერძის გატაცება. თხზულება იმ სიფართისა აღმოჩნდა, რომ „თემში“, ჩვენდა სამწუხაროდ ვერას გზით ვერ მოთავსდებოდა. ამიტომ ავტორის ნება-დართვით სიტყვაკაზმულ საზოგადოების თავჯდომარეს ბ. გრიგოლ რცხილაძეს გადავეცით მეორე კრებულში დასასტამბავად. თხზულება მეტად საინტერესო და საყურადღებოა. ავტორი უძღვნის პეტრე მირიანაშვილს.

✦ დეპუტატ ევგ. გეგეჭკორმა პეტერბურგში საჯარო ლექცია წაიკითხა საპარლამენტო შეკითხვის უფლების შესახებ. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო და ლექტორს დიდი ოვაცია გაუმართა.

✦ დღეს ისტორიულ საზოგადოებაში კრებაა. დ. კარიჭაშვილი წაიკითხავს რეფერატს: „ქართველთა წარმართი ღმერთები ჩვენს მატიანეში“.

✦ პრივატ-დოცენტი კოგანი ძალიან დაინტერესებულა ქართული ლიტერატურით. აპირებს შესწავლას და მერე ლექციის წაკითხვას.

✦ რუსეთის გაზეთებში დასტამბულია წერილები იმის შესახებ, რომ შესაძლებელია შეტაკება მოხდეს ოსმალეთის და რუსეთის საზღვარზე. რუსეთის დესპანი სტამბოლში ბ. ჩარიკოვი სამსახურიდან გადააყენეს და სენატში დანიშნეს.

✦ მთავრობამ დააწესა განსაკუთრებული საკრებულო საეკლესიო კრების მოწვევის გამო. სათათბიროს ზოგიერთი დეპუტატი ჰფიქრობს, რომ საჩქაროდ უნდა შესდგეს რუსეთის საეკლესიო კრება.

✦ კიევის დამცველ განყოფილების უფროსი კულიაბკო გაანთავისუფლეს საპატიმროდან 8.000 მ. წინდად შეტანის შემდეგ.

✦ ჩინეთში იუნშიკაიმ დიქტატორის უფლებანი მიითვისა. აჯანყებულ ჯარისკაცებს სჯიან სიკვდილით,

✦ ქ. ბაქოში ქალაქის თავად ასახელებენ სხვათა შორის ცნობილ მოღვაწეს თავ. ვლადიმერ სვიმონის ძეს მიქელაძეს.

✦ გოლოვინის პროსპექტზე ფ. გოგიჩაიშვილმა გახსნა მაღაზია „გლობუსის“ სახელით, სადაც იყიდება სამოსწავლო ნივთები, სურათები, გრავიურები, აპარატები, საბავშვო წიგნები და სხვ.

✦ 26 თებერვალს დიდუბის ტაძარში მოხდა მნათეს და ეკლესიის სამზრუნველოს არჩევნები. დაესწრო 21 რუსი და 124 ქართველი. ეს არჩევნები მეორედ იყო დანიშნული რუსებმა მალე დასტოვეს კრება, როგორც კი შეატყვეს თავიანთ მომხრეების სისუსტე. მნათედ აარჩიეს სტ. ფანჯავიძე, სამზრუნველოს თავმჯდომარედ ნაფ. ვექ. თავ. ვარლამ გელოვანი, მის თანაშემწედ ნიკ. გიორგ. ქართველიშვილი. წევრებად სამი რუსიც აარჩიეს. მრევლის წარმომადგენლებად აარჩიეს თავ. გ. ფალავანდიშვილი და ბ. ხომასურიძე.

✦ კვირას და ორშაბათს შესდგა „ახალი „კლუბის“ წევრთა საზოგადო კრება. წევრთა ერთი ნაწილი, თუმცა ძლიერ მცირე, ყოველ ღონეს ხმარობდა რამე ხელ-საყრელი მიზეზი ეშოვა, რომ როგორმე საზოგადოების თვალში დაემცირებინა მამასახლისთა საბჭო, მაგრამ ვერას გახდა. კრებამ დაამტკიცა ხმის დიდის უმრავლესობით საბჭოს ანგარიში. მამასახლისებათ აარჩიეს ზოგი ძველი, ზოგი ახალი პირები. ახლებში მოჰყვნენ ექიმნი ღამბაშიძე, დიასამიძე, მანსვეტაშვილი, მუსხელაშვილი, ნაფ ვექ. ვარლ. გელოვანი. ძველებში ხელახლა აირჩიეს თ. ი. ანდრონიკაშვილი, თავ. მიხ. ჭავჭავაძე თ. პავლე თუმანიშვილი, ნაფ. ვექ. გ. გვაზავა, თავ. მამუკა ორბელიანი სვ. კლდიაშვილი; კანდიდატებათ: ილია მიხეილის ძე ხარაშვილი, ნიკ. დავ. ერისთავი, თავ. ლევ. ჩერქეზიშვილი, თავ. გიორგი ესტატეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი. ადამ ბერელაშვილი. საბჭოს თავჯდომარედ ისევ თავ. იოსებ ანდრენიკაშვილი აარჩიეს მამასახლისებმა, ხაზინადრად თავ. მიხ. ჭავჭავაძე და მდივნად ექიმი ალ. დიასამიძე.

✦ მომავალ სასწავლო წლიდან დაბა საჩხერეში (შორაპნის მაზრა) გაიხსნება ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის პარალელური განყოფილება. ამ საქმის გამო ჭიათურაში ჩამოვიდა საჩხერედან დეპუტაცია, რომლის წინადადებას შავიქვის მრეწველთა საბჭო დაეთანხმა იმ პირობით, რომ საჩხერის მცხოვრებნი სკოლისათვის დაიქირავებენ ბინას და გაიღებენ გათბობა-განათების ხარჯს. მასწავლებლის ჯამაგირს კი საბჭო იძლევა.

— შავი ქვის გაზიდვა ჭიათურიდან ისევ გაძლიერებულია. თებერვლის განმავლობაში გაზიდულია 4 მილიონამდე ფუთი ქვა.

— ჭიათურაში ჩამოვიდა შავი-ქვის მრეწველთა საბჭო. მოხდა მრეწველთა კრება. სხვათა შორის გაირჩა საკითხი დაშავებულ მუშათა საექიმო ხარჯების შესახებ. დაადგინეს: მუშათა აგენტები ვალდებულნი არიან ყოველ შაბათობით წარმოადგინონ საბჭოში 10 კ. თითო მუშაზე, ხოლო ერთ ამდენს თავის მხრივ სდებს საბჭო. ამგვარი წესი ეხება შავიქვის ყოველგვარ დარგის მუშას ამ ფულებით მათ საექიმო დახმარება ეძლევათ. დაშავებულ მუშათა პასუხისმგებლობას, კრების დადგენილებით, კისრულობენ მუშათა აგენტები და არა-მწარმოებელ ექსპორტერები.

— შემოდგომიდან შეუდგებიან ჭიათურაში სახალხო სახლის აგებას. ამ საქმისათვის საბჭოს მიერ თანხა უკვე გადადებულია.

— ჭიათურის წერა-კითხვის საზოგადოების განყოფილება აარსებს აქვე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, რისთვისაც შავი-ქვის საბჭოს ყოველ-წლიური დახმარება 360 მ. გადაუდვია.

წერილი ქუთაისიდან

პარასკევს, 17 თებერვალს, ჭავჭავაძის ქუჩის მახლობლად, აბულაძის შესახვევში შემდეგი უბედურება დატრიალდა: დილის 11 ს. და 20 წ. მესამე გაკვეთილის შემდეგ ქალაქის მესამე პირველდაწყებითი სკოლის პირველი განყოფილების მოსწავლეები სახლში გაემგზავრნენ. იქვე 5—6 საჟენის დაშორებით სასწავლებლის ჭიშკრიდან ტელეფონის მოძველებული ბოძი მოეთხარათ და მოეყვანათ კურტნიანი მუშა ბოძის წასაღებად. მუშებს აუწევიათ ბოძის ერთი თავი, კურტნიანი მუშა ქვეშ შესდგომია და ზურგზე მოუდვია ბოძი, მაგრამ უგრძნია რა დიდი სიმძიმე, ვეღარ წამომდგარა ფეხზე და მოუხმია მუშები დასახმარებლად. მუშები მიშველებიან, აუწევიათ ბოძი ზემოთ და კურტნიანი მუშა გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ იმათაც ვეღარ დაუმაგრებიათ ბოძი, დაუძახნიათ ქუჩაში მიმავალთათვის „დაიწიეთ მარცხი არ მოხდესო“ და გაუსროლიათ გვერდზე ბოძი, რომლის ბოლო მოხვედრია თავში იქვე მიმავალს სახლში ხსენებულ დაწყებითი სასწავლებლის მოსწავლეს, 8—9 წლის ბავშვს, მიხეილ პეტრეს ძე ჭანტურიას; საცოდავი იმავე წამსვე გარდაიცვალა. აბულაძის შესახვევით მიდი-მოდიან სასწავლებელში პირველ-დაწყებითი სკოლის, სამოქალაქო ექვს-კლასიანი სასწავლებლის, ქართული გიმნაზიის და საქალებო გიმნაზიის მოსწავლეები, რადგან ყველა ეს სასწავლებლები ამ შესახვევის მახლობლად არის მოთავსებული. დილიდან დაწყებული ნაშუადღევის ორ საათამდე აურაცხელი მოსწავლე დადის ამ შესახვევში, ასეთ დროს ბოძის წაქცევა და გამოცვლა მეტად სახიფათო იყო, აგრეთვე მუშების უზედამხედველოთ გაგზავნაც არ შეიძლებოდა, ტელეფონის სადგურის გამგეს უნდა მიექცია ამ გარემოებისათვის ყურადღება.—21 თებერვალს აურაცხელი ხალხის თანადასწრებით დაასაფლავეს უბედური ბავშვი. სკოლის ამხანაგებმა გვირგვინით შეამკეს იმისი კუბო. წესის აგების შემდეგ ეზოში ერთმა იმისმა ამხანაგთაგანმა ნ. ცინარიძემ წაუკითხა შემდეგი სიტყვა:

„საცოდავო მიშა! უბედური შემთხვევით შენმა ამგვარად სიკვდილმა მეტად შეაწუხა, როგორც შენი მასწავლებლები აგრეთვე შენი პატარა ამხანაგებიც. 17 თებერვალი ჩვენთვის ზიზღით მოსაგონარი იქნება ყოველ წელიწადს, რადგან ამ

უბედურმა დღემ დასტოვა ჩვენს გულში ღრმა კვალი მწუხარებისა. შენ იყავი სიცოცხლით სავსე, მუდამ მხიარული და სახე-მცინარი ბიჭი, სწავლობდი კარგად, რის გამო უყვარდი შენს მასწავლებლებს. იმ უბედურ დღეს სამი გაკვეთილის შემდეგ გაგვიშვა მასწავლებელმა სახლში ყველანი. ვინ იფიქრებდა, თუ შენ უკან ჩამორჩებოდი ამხანაგებს და შენდა საუბედუროდ მუშებს და ბოძს წააწყდებოდი! ვინ იფიქრებდა, თუ შენ ამ ბოძის მსხვერპლი გახდებოდი და ცოცხალი სახლში ველარ მიაღწევდი! ვინ იფიქრებდა, თუ შენი საყვარელი დედ-მამა, რომელთაც დილით გამოგიშვეს სასწავლებელში, შუადღისას შენს ცოცხალ თვალებს სამუდამოდ დახუჭულს იხილავდენ! დაგვისერე და მოგვიკალი ყველას გული, დააობლე უბედური შენი მშობლები და დი უდროვოდ ჩაუკალ მათ გულში მომავალი შენგან იმედები.—მშვიდობით, გეთხოვებით შენი ამხანაგები და მიგაცილებთ ცივ სამარის კარამდი“.

ლადო ბზვანელი.

სქესის პრობლემა

ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

IV

პირველყოფილი საზოგადოების სოციალური ურთიერთობა სრულებით არ ეწინააღმდეგება სქესობრივ თავისუფლებას, პირიქით მათ შორის ბუნებრივი კავშირი არსებობს და ამის მიზეზი არსებულ მატერიალურ პირობებშია აქედან ცხადია, რომ თუ თანამედროვე ცხოვრებამ სექსუალური ტიპი წარმოშვა, თუ თანამედროვე ქალაქმა ადამიანი სულიერად და ხორციელად დააუძლურა, დაასახიჩრა და მას თავისადმი სიძულვილი და შიში ჩაუნერგა, იგი წარმოშობდა აგრეთვე პირველყოფილი ველური ცხოვრების და თავისუფალი სქესობრივი დამოკიდებულების იდეალიზაციას. ეს ასეც მოხდა და ამან უკვე იჩინა ლიტერატურაში თავი. ამიტომ სქესის სრული თავისუფლება და მისი მოტრფიალე ინტელიგენტის ბუნება ერთი მხრით და თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება მეორე მხრით ხშირად ერთმანეთს ვერ ურიგდებიან. წარმოიდგინეთ პირველყოფილი ადამიანი თანამედროვე პირობებში, რომელიმე ველური ტომის წარმომადგენელი თანამედროვე კაპიტალისტურ ქალაქში და დააკვირდით მის ყოფა-ქცევას, მის ფსიხოლოგიას.. ყველაფერი ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში ადამიანის გონებას შეუქმნია, ყველაფერი ის, რაც ადამიანს შრომით და ბრძოლით გაუჩენია, მთელი თანამედროვე კულტურა: ვეებერთელა ქალაქები, თვალ-უწვდენელი შენობები, ქარივით მქროლავი მატარებლები, ელექტრონი და ორთქლი; წესიერება და კანონმდებლობა; უფლება, ჩვეულება, ზნე და სარწმუნოება; შემზღუდველი პირობები, მორჩილება და ბატონობა — ყველაფერი ეს ჯოჯოხეთად მოეჩვენება. ამას ვერ შეურიგდება მისი ბუნება, ის ისევ იქით ველ-მინდვრებისკენ და მთატყეებისკენ გაიწევს, გაეშურება. იქ უტეხ ტევრში ის იგრძნობს მხოლოდ თავისუფლების ბედნიერებას. მის უღრან სივრცეს, მის ჩრდილს და სიოს ის ანაცვალებს მთელ ჩვენს კულტურას. ის ვერ გაიგებს თანამედროვე ჰაეროპლანების ფრენას, ვერავითარ სიამოვნებას ვერ იგრძნობს მათი ცქერით—შიშის მეტს, მაგრამ როცა შხუილ-სრიალით ფრინველთა მეფე—არწივი კლდის წვერს მისწვდება და უსაზღვრო სივრცეში გადაეშვება, როცა ის იწყებს ხან ნელ ტორტმანს, ხან შურდულისებრ მკვეთრ ნავარდობას.. როცა სისხლ-მორეული ის სარჩოს, მსხვერპლს ეძებს, ათვალიერებს —ველურის გული მაშინ ნათესავური გრძნობით დაიწყებს ტოკვას და ის ხედვად და სმენად გადაქცეული არწივის ნადირობას დააკვირდება და გაერთობა. ფრინველთა ჭიკჭიკი, მათი გალობა და ჟრიამული მას მეტ მუსიკალურ სიტკბოებას მოჰგვრის, ვიდრე სიმფონიური კონცერტები. შვილდით მოკლული ნადირის ხორცი, ნახევრად უმი, ნახევრად ცეცხლზე შემწვარი მისთვის უფრო გემრიელი და სასიამოვნო ლუკმაა, ვიდრე ევროპიული სამზარეულოს ნაირნაირი საჭმელები. ბუნების ღია მკერდი ხან ცივი და ხან მხურვალე, ხან სოველი და ხან მტვრიანი, მისთვის გაცილებით უკეთესი ბინაა, ვიდრე უზარ-მაზარი, მყრალი და ჰაერ-შეხუთული სასტუმროები. ნადირთა და მხეცთა გალაღებული ვარჯიშობა ან მათი ბრძოლა, კბილების ღრჭენა და რქების ცემა—მას ათას წილად ურჩევნია კულტურულ საზოგადოების სპორტს. ტყე, უღრანი ტყე, სამარისებური მდუმარებით და ფიქრით მოცული, რომელსაც ხანდახან ფრინველთა ჟრიამული ან მხეცის ბღავილი დაარღვევს ხოლმე, ტყე იდუმალი, ნეშთი ფენილი, სეტყვა-ნაცემი და შტო დამტვრეული, შავი, პირქუში, მაგრამ თბილი და მყუდრო, მთრობელ სუნნელებით მსუნთქავი და ხავერდისებური სუროთი შემკული—ველურისათვის სამოთხის წიაღს წარმოადგენს, რომელსაც ის არ გასცვლის თანამედროვე ხელოვნურ გაშენებულ და მავთულებით დახლართულ ხეივნებში. თანამედროვე ქალი, რომელსაც თავის სიტიტვლე, სხეულის სიმშვენიერე თავიდან ფეხებამდე ტანისამოსით დაუფარავს და თავის სქესობრივი ხელუხლებლობა მრავალი კანონებით, ჩვეულებებით და პირობებით შემოუზღუდავს, მისთვის თავისუფალი ბუნების თავისუფალი შვილისთვის არავითარ მიმზიდველ ძალას არ წარმოადგენს. ის მოსვენებათა ღელვას ვერ გაუღვიძებს და სისხლს ძარღვებში ვერ აუჩქარებს. პირიქით მასში მხოლოდ ბრაზს და სიძულვილს გამოიწვევს. იმ ველურ ქალს, რომელსაც თანამედროვე სირცხვილის და ნამუსის არა გაეგება-რა, რომელსაც მხოლოდ მედღრობითი ინსტინქტები ამოძრავებს, რომლის სიტიტვლეს ნამი ეპკურება და მზის სხივები ელურსება—ველური ანაცვალებდა თანამედროვე კულტურულ ქალს და მის სიყვარულს... რადგან მასთან მას ყოველ ხის ძირში, ტყეში და მინდვრად, ქორფა ბალახის რბილ ბუმბულზე, ან მოდუდუნე და საიდუმლოდ მოსაუბრე მდინარის ახლოს, ყველგან სადაც კი ამას მათი სქესობრივი ჟინი მოითხოვდა, შეეძლო პირუტყვული, თავისუფალი შეუღლება, ვნებათა ცეცხლის დანელება, ხორციელ ლტოლვათა დაკმაყოფილება. არა, ველური ქალაქიდან გაიქცევა, თანამედროვე კულტურულ ცხოვრების სიძულვილს ღრმად ჩაიმარხავს გულში და ისევ ბუნების ხელუხლებელ და უტეხ კუთხეს მოსძებნის და მის მკერდს მიეყრდნობა. მაგრამ აქ სხვა რამ ემართება ველურს. მისი სახე თანდათან იცვლება. ის თანდათან იმოსება ევროპიულ ტანისამოსით რაღაც საიდუმლო მეტამორფოზა იშლება ჩვენ თვალ-წინ. საოცარი და მოულოდნელი ცვლილება! დაუკვირდით კარგათ—ეს ველური აღარ არის – ეს ტომას გლანია! დიახ, ტომას გლანი მონადირის ტანისამოსში გამოწყობილი. ის ტომას გლანი, რომელიც ქალაქიდან გაიქცა, მთებსა და ტყეებს შეეხიზნა, საზოგადოება დასტოვა, რომ ბუნებას შეერთებოდა,. რომ მხოლოდ ფრინველებსა და მცენარეებთან, ცხოველებსა და ზღვის ტალღებთან ესაუბრა, რომელსაც ავტორმა ტყეების, მინდორ-ველების და თავისუფალი სქესობრივი ტრფიალის ღმერთის სახელი **პანი** დაარქვა.

შემაძრწუნებელ სურათს გვიშლის თვალ-წინ ჰაუპტმანი თავის სოციალურ დრამაში „მზის ამოსვლამდის“. სქესობრივი აღვირ-წახსნილობა, სიმხეცე აქ უმაღლეს წერტილამდის აღწევს. აქ რაღაც გონების დამაბნელებელი ხდება. საოცრებათა საოცრება! ღვინით გაჟღენთილი კრაუზე ბრუნდება სახლში. კრაუზე მოხუცებული, ჭაღარა კაცია, მდიდარი და ოჯახის პატრონი. დილაა მზის ამოსვლამდის. მას ეგებება მისი ქალიშვილი—მშვენიერი ელენე. მის დანახვაზე კრაუზე ადამიანის სახეს ჰკარგავს. ის ემსგავსება ვნებით ატროებულ მხეცს. თვალები სისხლით ევსება. საშინელი განზრახვა იბადება მასში. ბინძური ვნება უბნელებს გონებას და თვალთახედვას. მშობლიური გრძნობა ინთქმება და იკარგება სქესობრივ სურვილების წუმპეში. მის წინ შვილი აღარ არის. მის წინ მხოლოდ ქალია. ერთი მომენტი, რომელიც შესანიშნავად აქვს ჩართული ჰაუპტმანს და რომელიც რამოდენიმე სიტყვით არის გამოხატული, საზიზღროებას აასკეცებს. კრაუზე მდიდარია; მან იცის, რომ ფულით ყველაფერი შეიძლება, ფულს წინააღმდეგობას ვერაფერი უწევს ცხოვრებაში. მან იცის ეს გამოცდილებით და აი, როცა მასში პირუტყვი იღვიძებს, როცა ბრმა ინსტინქტი სავსებით იმორჩილებს მას, ის მაშინ იხსენებს თავის პრაქტიკულ ფილოსოფიას, ჯიბიდან ფულით გატენილ ქისას იღებს და თავის ქალიშვილს სხეულის შესახებ ვაჭრობას უმართავს.. ლამობს ფულით მისი უმანკოების ყიდვას. ის ხელის გულზე იცემს სავსე ქისას, ფულებს აწკრიალებს და სისხლის მსმელ მხეცის გამომეტყველებით თვალებში, ეუბნება შვილს: „ხედავ!.. ფული ჩემია.. გინდა ორიოდე ტალერი მოგცეო“.. მაგრამ პირუტყვი ვაჭრობას აღარ აცდის, ის მის პრაქტულ საშუალებას ავიწყებინებს და მოხუცებული მამა როგორც გამხეცებული გორილა (მაიმუნი) გადახვევა თავის ქალიშვილს. საშინელი, თავზარდამცემი ხმა ამოხდება ელენეს გულიდან. ის ცდილობს თავი გაინთავისუფლოს, უძახის „გამიშვი მამაო“. მას უნდა ამ ძახილით მოაგონოს, რომ ის მამა მისი, მაგრამ ამაოდ!. კრაუზეს ჯერ ესმის არც მისი ძახილი, არც მისი ტირილი. ბოლოს ის უკანასკნელ ძალღონეს იკრებს და ხელიდან უსხლტება გამხეცებულ მხეცს.. აქვეა გამოყვანილი დედა, რომელიც თავის სიყვარულს თავისვე ქალიშვილს ურიგებს, აქვეა განათლებული წოდების წარმომადგენელი, ინჟენერი გოფმანი, რომელიც ცოლის დას გარყვნილების და გახრწნილების გზაზე უპირებს დაყენებას. დიახ, ეს სოციალური დრამაა და სქესობრივი წარყვნა—ღერძია, რომლის გარშემოც ის ტრიალებს. აქაც, როგორც სხვა მრავალ ლიტერატურულ მაგალითებში, სქესი იპონებს და იმორჩილებს ადამიანის ბუნებას, სპობს და აცამტვერებს ნათესაობასა, რელიგიას და კულტურას. ამის შედეგია სქესობრივი განურჩევლობა, სისხლის შერევა. ველარაფერი ველარ აკავებს მას.. ვერც ის კლდოვანი ზღუდე, რომელიც ჰყოფდა დასაბამიდან დედასა და შვილს ერთი მეორესაგან.. სქესის მღვრიე ტალღები ავსებენ იმ გარდუვალ, უძირო ნაპრალს, რომელიც თვით ბუნებას გაუთხრია მშობელთა და შობილთა შორის. ათასწლობით უფრო ადრე, ვიდრე თანამედროვე რელიგიები გაჩნდებოდენ, რომელთაც მხოლოდ ღვთის სახელით მონათლეს და დააკანონეს ის, რაც ბუნებისაგან დიდი ხნის დაკანონებული იყო, საარსებო ბრძოლამ შექმნა ნათესაობა, აკრძალა სისხლის შერევა. ხანგრძლივ ცხოვრების პროცესმა გამოარკვია ის უეჭველი ფაქტი, რომ სისხლის შერევისაგან წარმომდგარი შთამომავლობა აუცილებლად იღუპება არსებობისათვის ბრძოლაში. მას ბუნება სპობს და ჰგვის პირისაგან ქვეყნისა და მის ადგილს უთმობს შთამომავლობათ, რომელნიც სხვადასხვა არა ნათესაური სისხლიდან წარმოსდგებიან. და აი ეხლა ქვენა ინსტინქტთა ბნელი სტიქიონი შეუჩერებლად არღვევს და აქცევს იმ ზღუდეებს და კლდეებს, რომელნიც ბუნებას შეუქმნია და რელიგიებს უკურთხებია.. იგი უქადის წარღვნას და წალეკას მთელ კულტურას, კაცობრიობას კი დამახინჯებას და გადაგვარებას. თანამედროვე ლიტერატურაში არის აღწერილი საშინელი ფაქტი ველური, პირველყოფილი ადამიანის კულტურულ საზოგადოებაში მოვლინებისა.აქ არის აღწერილი **ფაქტი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების გადაგვარების და გახრწნილებისა.** აქ არის დასმული დიაგნოზი მისი საშინელი სენისა. აქ ირეკება მისი დაღუპვის ზარი, დგება წამი აღსასრულისა და ისმის სიკვდილის ჰიმნი „De profundis“.

სქესის გაბატონებამ გამოიწვია ბევრგვარი დამახინჯებული და არა ბუნებრივი მიდრეკილება ინტელიგენტის შინაგან ბუნებაში—და ყოველ მათგანმა ნახა თავის გამოხატულება ლიტერატურაში. სქესის უსაზღვრო ბატონობა, ისტორიულად თუ განვიხილეთ, ეკუთვნის იმ შორეულ ხანას, როდესაც თანამედროვე კულტურის ნასახიც არ იყო; როდესაც ჩვენი წინაპარნი ბევრით არაფრით განირჩეოდენ მხეცებისაგან, როცა მათ მხოლოდ ცხოველური ინსტინქტები უკარნახებდენ და გონება კი ჯერ გამოუღვიძებელი იყო, ხელუხლებელი ბუნების მიდამოები, უღრანი ტყენი და მინდორველები, სალი კლდენი და გამოქვაბულნი წარმოადგენდენ მათ ბინას. სრული ქაოსი სქესობრივ ურთიერთობაში შეადგენდა მათ ჩვეულებას და თუ დღეს სქესი დღესასწაულობს გამარჯვებას, ბუნებრივი აუცილებლობით თანამედროვე საზოგადოებაში უნდა გაჩენილიყვნენ ისეთი ელემენტები, რომელნიც თავის მსოფლიო მხედველობით, გრძნობიერებით და სულიერი ავლა-დიდებით მოგვაგონებდენ პირველ-ყოფილ ადამიანს. აგრეთვე უნდა დაბადებულიყვნენ ისეთი მწერლები, რომელნიც აღწერდენ ცხოვრების ამ მახინჯს, მაგრამ დამახასიათებელ მოვლენას. და მართლაც, ჩვენს თვალ-წინ არის მდიდარი ლიტერატურა, დაწერილი თითქმის ყველა ენაზე, რომელიც სავსებით გვიხატავს სქესობრივ ინსტინქტების განგაშს და მათ უძლიერეს ფაქტორად ჰხდის საზოგადოების ზოგიერთ წრეებში. ტომას გლანი სწყვეტს ყოველგვარ კავშირს კულტურულ საზოგადოებასთან და მიდის შორს ტყეში. გაურბის კულტურას და უბრუნდება პირველ-ყოფილ მდგომარეობას, ველურის ცხოვრებას. აქ ტყეში ის ეძლევა ნეტარებას ფეხ-შიშველა სოფლის გოგოსთან —და მხოლოდ აქ—ამ თავისუფალ ბუნების მკერდზე, თავისუფლად სქესობრივ ურთიერთობაში ის პოულობს კმაყოფილებას სულისას. აი სრული იდილია პირველ-ყოფილ სიყვარულისა. ფშიბიშევსკის სამეფო ტახტზე აჰყავს სქესი და მას მსოფლიოს დასაბამად აცხადებს. ის არღვევს მის წინაშე ყოველივე ზღუდეებს შლის ყოველგვარ საზღვრებს და განთავისუფლებული სქესი ისახება ცხოვრების ათასგვარ საშინელებაში. ეროტიული სიგიჟე აღწევს უმაღლეს წერტილს მის თხზულებაში „De profundis“, სადაც გენიალური მხიტვრობით აღწერილია საშინელებათა საშინელება—სქესობრივი კავშირი ძმასა და დას შორის. ამავე სიუჟეტს ამუშავებს არციბაშევი და რუსეთში იბადება რუსეთელი Homo sapiens, ვნებით და ალკოჰოლით მთვრალი სანინი. პირუტყვულ გრძნობათა ტკბობა და კმაყოფილება—აი აზრი არსებობისა, აი დანიშნულება არსებისა!.. და ის სისხლამღვრეული და ხორც-ანთებული მთრთოლვარე ხელით უახლოვდება ღვიძლ დას სატრფიალოდ და საამიკოდ. ჰაუპტმანი, გოფმანსტალი, სოლოგუბი და სხვები გვახედებენ იმ ბნელ ნაპრალში, სადაც გამძვინვარებული სტიქიონი სქესისა ანგრევს უკანასკნელ ზღუდეს და თავის მღვრიე ტალღებით ნთქავს ღვთაებრივ საკურთხეველს მშობლიური სიყვარულისას. მაგრამ პირველ-ყოფილი ქაოსი, სქესობრივ ურთიერთობისა, სრულ გამოხატულებას პოულობს შნიცლერის „ფერხულში“. ეს საოცარი სანახაობა ფარდაახდილი სინამდვილეა, რეალური აღბეჭდვაა არსებული სოციალური ბოროტებისა.—და რომ ეს ასეა, რომ ლიტერატურა სწერს იმას, რაც ცხოვრებაში უკვე დაწერილია, ამას მოწმობენ თვით ცხოვრების ულმობელი ფაქტები. ამას მოწმობენ ის „ლიგები“ და „წითელი ოთახები“ თავისუფალი სიყვარულისა, რომლითაც მოფენილია მთელი რუსეთი. სქესი გადაიქცა კულტად, სქესი გადაიქცა რელიგიად და ამ ახალმა კერპმა—არა ცეცხლითა და მახვილით—არამედ წუთიერი მთრთოლვარე ბედნიერებით და უტკბესი ნეტარებით დაიმორჩილა და დაიპყრო მრავალი ქვეყნები და ხალხები. გარყვნილი ბაბილონის გარყვნილების ღმერთა ასტარტა კვლავ ავიდა თავის ოქროს ტახტზე... კვლავ შეიმოსა იგი გუნდრუკის კომლით. კვლავ ესმის მას მის თაყვანისმცემელთა გალობა. მათი მთრთოლვარე ხმები ვნებათა ტკბობის დროს აღმოხდენილი. ასეთ ნიმუშებს წარმოადგენს ლიტერატურა. ამასვე ვხედავთ ცხოვრებასა და ხელოვნებაში. დიახ, ეს მოვლენა მარმარილოში და ფერადებშიაც პოულობს გამოხატულებას. გადაავლეთ თვალი პარიზის სამხატვრო სალონებს—განა ეს სალონები უმთავრესად ქალის სიტიტვლის გამოფენას არ წარმოადგენენ, ვნებათა ამშლელ მოტივების დასურათებას, რომელთაა წინაშე ნერწყვ-მორეული ბურჟუაზია აღელვებული ხვიხვინებს და ცინიკური სიხარულით თრთის? განა სურათები როპსის და შტუკისა ამასვე არ მოწმობენ? ამნაირად ზემო ნათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი დასკვნა: სექსუალიზმი ერთ უმავრეს მოტივათ გადაქცეულა თანამედროვე ცხოვრების, მწერლობის და ხელოვნებისა...

ინტელიგენტის სული სქესის ბრჭყალებში ფართხალებს, მის გონებას პირველ-ყოფილ ინსტინქტთა მძიმე ბორკილი ადევს, მისი ნება იარაღ-დაყრილი, სუსტი და უძლურია. სქესი ამკვიდრებს თავის დესპოტიურ ძალას ადამიანზე და მის ცხოვრებაზე. ასეთია ეს საშინელი ფაქტი ცხოვრებისა, ასეთია ეს ბნელი ნაპრალი, ეს mare tenebrarum, რომელიც იზიდავს და ღუპავს, რომელიც ატკბობს და სწამლავს... მაგრამ რას შვრება ის—თვით ის მსხვერპლი ამ საშინელებისა; ის, ვისი ტანჯვა და ნეტარებაც წარმოსდგება სქესიდან? იგი შლის მცნებას, რომელიც „გვასწავლის პირველად იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღვთისათანა“ და დასწერს ასე: „პირველად იყო სქესი და სქესი იგი იყო კაცთა თანა“. და ეს სახარება იქნება არა ქრისტეს მოწაფის იოანესი, არამედ ქაოსის, ბნელეთის და სატანის მოციქულის ერიკ ფალკისა....

ს. ქავთარაძე

რედაქტორ-გამომცემელი
გრიგოლ დიასამიძე.

პაპიროსის ქაღალდის ფაბრიკა
კავკაზი
ა. ო. იმნაძისა და ამხ.
ქ. ბათუმი, ტფილისის ქუჩა, სახლი № 76.
მზადდება საუკეთესო ჰიგიენური პაპიროსის ქაღალდის წიგნაკები,
ძლიერ ზომიერ ფასებში.
დაკვეთა სრულდება სწრაფად და რიგიანად.
ადრესი: **Батумъ, Тифлисская ул. № 76.**

ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი
„ცხოვრება“
გაზეთი ღირს წლიურათ 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., 3 თვით 2 მან. 50 კ. თვიურათ ქუთაისში 80 კ., ქუთაის გარეთ 90 კ., საზღვარ გარეთ 14 მან. ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.
რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯულაძე.
დროებითი ადრესი: Кутаисъ, Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгадзе. ფული მიიღება მხოლოდ გორგაძის სახელზე. 0—7.

კოლხიდა 1912
წელიწადი მეორე.
გაზეთის დასაკვეთი ფასი:
ერთი წლით 7 მანეთი. ნახევარი წლით 4 მანეთი. ერთი თვით 4 აბაზი.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ამნაირი სალავათიანი წესით შეუძლიათ გადაიხადონ:
ხელის მოწერის დროს 3 მანეთი, პირველ მაისს 2 მანეთი, პირველ ეკენისთვეს 2 მანეთი.
ცალკე ნუმერის ფასი **ერთი შაური**, მის მართის გამოცვლისათვის **ათი შაური**. სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს, სტუდ. სათვისტომოებს, სოფლის მასწავლებელთ და შკოლებს გაზეთი ნახევარ ფასათ დაეთმობათ.
საზღვარ-გარეთ: წლიურათ—14 მან., თვიურათ—ექვსი აბაზი.

სახალხო გაზეთი ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
მიიღება ხელის-მოწერა 1912 წლისათვის.
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1912 წელსაც გაზეთს ექნება
სურათებიანი დამატება
(კვირაობით)
პრემიად 1912 წლის ხელის მომწერთ მიეცემათ **გრდემლი**
ქართულ სიტყვა-კაზმულ საზოგადოების კრებულის პირველი ტომი,
რომელიც „სახალხო გაზეთის“ რედაქციამ სრულ საკუთრებად შეიძინა.
კრებული „გრდემლი“ დაახლოვებით 500 გვერდიანი იქნება, იბეჭდება და ხელის-მომწერთ იანვარშივე დაურიგდება.
გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. და 50 კ. ცალკე № შაურად. დამატებიანი 7 კაპ.

12 თ.	11 თ.	10 თ.	9 თ.	8 თ.	7 თ.	6 თ.	5 თ.	4 თ.	3 თ.	2 თ.	1 თ.
8.50	8.	7.50	6.75	6.	5.25	4.50	3.75	3.	2.25	1.50	.75

საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი ტფილისისა ტფილისს გარედ, ან ტფილისის გარეთისა ისევ ტფილისის გარეთისაზე **40 კაპ.**
დანარჩენ შემთხვევებში უფასო.
ექვსი შაური უნდა გადაიხადოს კიდევ იმ ხელის მომწერმა, რომელსაც სურს კრებული „გრდემლი“ მიიღოს ფოსტით. ქუთაისისა, ბათუმისა, სოხუმისა, ფოთისა, გორისა და თელავის ხელის მომწერნი მიიღებენ პრემიას ადგილობრივ აგენტთაგან.
წლიურ ხელის მომწერთ გაზეთის ფასი ნაწილობით 8 მან. 50 კაპ. შეუძლიანთ გადაიხადონ მხოლოდ შემდეგ ვადებზე უნდა იყოს გადახდილი: ხელის მოწერისათანავე 3 მ.; 1 მარტამდის 2 მ.; 1 მაისამდე 2 მ. და დანარჩენი 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს 1912 წლის გასულისა.
ხელის მოწერა მიიღება:
1) **„სახალხო გაზეთი“-ს კანტორაში,** (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი, შესავალი ეზოდან).
2) **ქ. შ. წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის წიგნის მაღაზიაში.**
3) **ფოსტით: Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“. П. Ящ. 190.**
წიგნის მაღაზიების საყურადღებოდ:
წიგნის მაღაზიებს, რომლებიც მიიღებენ ხელის მოწერას და ფულს გამოგზავნიან არა უგვიანეს 29 დეკემბრისა, საკომისიოდ მიეცემა 5%.

მიიღება 1912 წ. ხელის მოწერა სახალხო საზოგადო-საეკონომიო ჟურნალ
კოოპერაციაზე
წელიწადი მეორე
პროგრამა: 1) მოწინავე წერილები საკოოპერაციო და საეკონომიო საკითხებზე, 2
წერილები სამუნიციპალო საქმეებზე, 3) კორესპონდენციები და კოოპერატიულ ცხოვრებ
მიმოხილვა, სურათებით; 4) გამოჩენილ კოოპერატორებისა და საზოგადო მოღვაწეებ
ბიოგრაფია, სურათებით; 5) მიმდინარე ცხოვრება; 6) წერილები ჯანმრთელობაზე; ნარკ
და სხვა. განსაკუთრებული ყურადღება იქნება მიქცეული კოოპერაციის პრაქტიკულ კითხვ
ბზე. ჟურნალში დებულობენ მონაწილეობას საუკეთესო მწერლები და საზოგადო მოღვ
წენი. ჟურნალი ღირს ქუთაისში და ქუთაისს გარედ, გაგზავნით: წლიურად 3 მ., ნახევარ
წლით 1 მ. 75 კ., თვიურად 40 კ. ჟურნალი ცალკე ნომრებად არ გაიყიდება.
წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ 1912 წლის განმავლობაში ჟურნალის 24 ნო
მრებს და რამდენიმე მთლიან ბროშურას დასავლეთ ევროპისა და რუსეთის კოოპერატიულ
ცხოვრებაზე და პრაქტიკულ საკითხებზე. გარდა ამისა ყველა ხელის მომწერი, რომელი
მოაწერს ხელს ჟურნალზე თებერვლის დამდეგამდე და შემოიტანს სრულად წლიურ გად
სახადს ათი შაურის დამატებით, დაუმატებლად დებულობენ ისინი, ვინც მოაწერეს ხელ
1911 წ. 31) მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიიღებენ საჩუქრად მოსკოვის მომხმ
რებელ საზოგადოებათა კავშირის დამაარსებელის, ნ. პ. გიბნერის საუცხოვო წიგნს ქარ
თულად: „კოოპერაციის სისტემები“, რომელიც ცალკე ღირს 1 მ. 20 კ.
1911 წლის ნომრებში მოთავსებულია, სხვათა შორის, შემდეგი წერილები: „დარ
გება მომხმარებელ საზოგადოების დამაარსებელთათვის“, „გამგეობის პირველი ნაბიჯები“
„სასოფლო-სამეურნეო სინდიკატები საფრანგეთში“, „სახელოსნო კოოპერატივები“, გამო
ჩენილ კოოპერატორების ბიოგრაფიები, ლევ. ტოლსტოის, პროფ. კაბლუკოვისა და სხვ
გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა და პროფესორ-ეკონომისტების აზრი კოოპერაციაზე; წ
რილები ნოე ჟორდანიასი, თ. ღლონტის, დ. ღამბაშიძისა (ლონდონიდან), ვ. თ. ტოტ
მანცისა და სხვ. 1911 წლის კომპლექტი ღირს 1 მ. 50 კ.
ადრესი წერილისა და ფულის გამოსაგზავნად: Кутаисъ, редакція журнал
„Кооперація“.

კიწმარაშვილის და ამხ.
თესლეულობის მაღაზია ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე
იყიდება: იონჯის, სამყურის, კოლინდრის, ამერიკული ბალახი „პენცელარია“ ბუოლის, დაფნის, ეკლის ხის. საუკეთესო ჯიშის თეთრი და ყვითელი აბრეშუმის თესლი და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვადასხვა თესლეულობა. ნერგები და სხვადასხვა ნამყენი ხეხილების, დაფნის, ბულის, ეკლის, ხის „აკაციის“ და იასამანის. აგრეთვე იყიდება ჩვენთან საუკეთესო ჯიშის **ჩაის** და ხავერდის ვარდის ნერგები.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, № 1.